# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 23 მარტი. 2016 წ. №53 (7945), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


შეშლილი XXI საუკუნე

## ევროპას კვლავ ტერაქტები აზანზარებს!



**გუშინ ბრიუსელის აეროპორტსა და მეტრო მაალბეკში თვითმკვლელმა ტერორისტებმა შემზარავი ტერაქტების სერია განახორციელეს. წინასწარი ინფორმაციით დაღუპულია 40-მდე და მძიმედ დაშავებულია 140-მდე ადამიანი, მათ შორის ოცამდე დაშავებული მოქალაქის მდგომარეობა კრიტიკულია.**

მსოფლიოს ლიდერები ბრიუსელში მომხდარი ტერაქტების სერიის გამო შოკირებული არიან. ამასთან, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ტერაქტები მშვიდობისა და თავისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული.

საფრანგეთის პრეზიდენტის **ფრანსუა ოლანდის** შეფასებით, ბრიუსელის ტერაქტები **„დარტყმაა მთელ ევროპაზე“**.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა **აჰმეთ დავუთოღლუმ** ბრიუსელში მომხდარმა ტერაქტებმა დაგმო. მისი თქმით, მომხდარი ტერაქტები „გლობალური ტერორიზმის ნამდვილი სახე უჩვენეს. მოვუწოდებ კაცობრიობას, რომ „ისლამური სახელმწიფოს“, ქურთთა მუშათა პარტიის და სხვა დაჯგუფებების წინააღმდეგ აღვდგეთ“.

იაპონიის პრემიერ-მინისტრის **სინძო აბეს** განცხადებით, **„მსოფლიო თანამეგობრობამ ტერორიზმს კოორდინირებულად უნდა ებრძოლოს“.**

იტალიის პრეზიდენტ **სერჯო მატარელას** თქმით, ევროპის ყველა ქვეყანა ამ საშიშროებასთან გამკლავებისთვის უნდა გაერთიანდეს.

ესპანეთის მთავრობის ხელძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მარიანო რახოი** მიიჩნევს, რომ ტერორიზმი „ევროპული დემოკრატიის დამარცხებას ვერ შეძლებს“.

ავსტრიის პრეზიდენტ **ჰაინც ფიშერის თქმით** „ტერორიზმი და მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმა დემოკრატიული გზიდან არ უნდა გადაგვახვევინოს“.

**ტერაქტებზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.**

**დიდი შეღავათია შეშლილი მსოფლიოსთვის...**

## ნადია სავჩენკოს 22-წლიანი პატიმრობა მიესაჯა



რუსეთის სასამართლომ ნადეჟდა სავჩენკო დამნაშავედ ცნო და 22-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ასეთი განაჩენი გამოიტანა მოსამართლეთა სამეულმა.

ნადია სავჩენკოს 2014 წელს, ლუგანსკის ოლქში, ორი რუსი ჟურნალისტის მკვლელობაში ადანაშაულებენ, თავად დაკავებული ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ ის სეპარატისტებმა, ჟურნალისტების დაღუპვამდე ტყვედ აიყვანეს და რუსულ მხარეს გადასცეს.

სასჯელის ზომის გამოცხადებამდე სასამართლო იძულებული გახდა, შესვენება გამოეცხადებინა, რადგან სავჩენკომ მოსამართლის ხმა სიმღერით გადაფარა. რუსული სასამართლოს საბოლოო განაჩენის გამოსაცხადებლად ორი დღე დასჭირდა.

## აღმოჩენა ლანგარზე და სამოცდათხუთმეტწლიანი უსულგულობა



6

## უფალი მხოლოდ ღმერთი!



### პატრიარქის განცხადება განსჯის საფუძველი გახდა



3

### ყველა ტრადიციული რელიგია დაიცავს და აკურთხებს მხოლოდ კანონიერ მეუღლეებს შორის სიყვარულს



ის, რაც პუტინს არ სჭირდება და რის გაკეთებას არც აპირებს

5

## რუსეთი და მისი „ჩაუქირავი ავიამზიდები“ საქართველოში

## რას გვირჩევენ უცხოელები მოსკოვის ზეწოლისგან დასაცავად

8

## შვილების აღზრდა და კვლავ სხვისი მოიმედეობის განწყობა...



7

**ნიკო ნიკოლაძე:**

**სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება.**

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

# საქართველოსთან თანამშრომლობაში უკან არ დავიხევთ



**საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ოფიციალური ვიზიტი ბელარუსის რესპუბლიკაში პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოსთან შეხვედრით დაიწყო.**

**შეხვედრის დასაწყისში, ბელარუსის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.**

**„მე ცოტა ხნის წინათ ვიმყოფებოდი საქართველოში. ჩვენ ბევრ რამეზე მოვილაპარაკეთ, მაგრამ მთავარია, რომ ჩავხედეთ ერთმანეთს თვალებში და მივხვდით, რომ დიდი შესაძლებლობები გვაქვს. მაშინ მივიღეთ თანამშრომლობის გადაწყვეტილება და პირობას გაძლევთ, რომ უკან არ დავიხევთ. თქვენ ჩვენთვის უცხოები არ ხართ და მიხარია, რომ თავს ისე გრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში. რაც შეეხება ჩვენს კონკრეტულ თანამშრომლობას ეკონომიკის სფეროში, ჩვენი მიზანია, სავაჭრო ბრუნვა 200 მილიონი დოლარი იყოს და ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გადავდგათ. კარგია, რომ ჩამოხვედით, იცოდეთ, რომ ბელარუსი თქვენთვის უცხო არ არის და როგორც ვიყავით მეგობრული ქვეყნები, დღემდე ვემხრობით ამ პოლიტიკას“,** — განაცხადა ლუკაშენკომ.

გიორგი კვირიკაშვილმა ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ვიზიტი გაიხსენა და აღნიშნა, რომ ამ ვიზიტის დროს დაწყებული პროექტები სულ მალე კონკრეტული შედეგებით დასრულდება.

**„პოტენციალი კიდევ დიდია. ჩვენ მზად ვართ, განვავითაროთ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თანამშრომლობის დიდი პერსპექტივა გვაქვს ინვესტიციების კუთხით. ჩემთვის დიდი პატივია ამ ქვეყანაში ყოფნა, რომელიც მუდმივად გვერდით ედგა საქართველოს, ქართველები ამას აფასებენ. თქვენი პირადი წვლილი ამ ურთიერთობებში დიდია და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი თქვენს მხარდაჭერას ძალიან ვაფასებთ“,** — მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბელარუსის პრეზიდენტს.

მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი განიხილეს და ხაზი გაუსვეს თანამშრომლობას ვაჭრობის, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში. საუბარი შეეხო ტურიზმის მზარდ ტენდენციას და გამოითქვა კულტურულ-ჰუმანიტარული ურთიერთობების გამყარების იმედი.

მხარეებმა ორმხრივ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებთან ერთად, ყურადღება რეგიონში არსებულ ვითარებასაც დაუთმეს.

## გიორგი კვირიკაშვილი ბელგიის მთავრობას და ხალხს სამძიმარს უცხადებს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გუშინწინ, ბრიუსელში განხორციელებული ტერაქტების გამო ბელგიის მთავრობას და ხალხს სამძიმარს უცხადებს.**

**„შემზრა ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროში მომხდარმა აფეთქებებმა — ტერორისტულ აქტებს ისევ შეეწირნენ უდანაშაულო ადამიანები. სიცოცხლის მოსპობის გარდა, ეს არის თავისუფალი საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ფსიქოლოგიური ტერორის მცდელობა, ეს არის უსასტიკესი დანაშაული, რომელსაც მთელი მსოფლიო უნდა აღუდგეს წინ და საკადრისი პასუხი გასცეს. ამ ბრძოლაში საქართველო მსოფლიოს გვერდშია. ვუსამძიმრებ ბელგიის მთავრობას და ხალხს და ამ მძიმე წუთებში სიმტკიცესა და გამძლეობას**



**ვუსურვებ“,** — აცხადებს გიორგი კვირიკაშვილი.

## ბრიუსელში მყოფი ქართველი დეპუტატები არ დაშავებულან

**ბრიუსელში, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაზე მყოფი ქართველი დეპუტატები და პარლამენტის თანამშრომლები ახლოს იმყოფებოდნენ იმ ადგილთან, სადაც მეტროში აფეთქება მოხდა, თუმცა ისინი არ დაშავებულან, — ამის შესახებ პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა.**

ბრიუსელში საქმიანი ვიზიტით იმყოფებიან: ვიქტორ დოლიძე, ფრიდონ საყვარელიძე, გია ჟორჟოლიანი, გიორგი ჟვანია, ანი მიროტაძე, გიორგი ვოლსკი, ეკა ბესელია, გუგული მაღრაძე, დავით დარჩიაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, ლევან თარხნიშვილი, გიორგი კანდელაკი, თინათინ ბოკუჩავა. მათთან ერთად არიან პარლამენტის აპარატის თანამშრომლებიც.

# დიდი სახელი — ეთერ ქემერტელიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, დიდებულ პიროვნებას, ქალბატონ **ეთერ ქემერტელიძეს** ამა წლის 23 მარტს უსრულდება საიუბილეო 90 წელი.

მისმა განვლილმა წლებმა წარმოაჩინა პიროვნება, რომლის მეცნიერულმა მოღვაწეობამ და დაუღალავმა შრომამ ქართული ფარმაკოლოგიის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერა და დაამკვიდრა მისი სახელი. ამის დასტურია სხვადასხვა ქვეყნის მიერ მისი აღიარება. იგი არის მრავალი ქვეყნის აკადემიის წევრი, მრავალი სახელმწიფო პრემიისა და ჯილდოს მფლობელი. იგი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს ფარმაცევტულ ინსტიტუტში, რომლის ხელმძღვანელიც წლების მანძილზე თავად იყო.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ულოცავს ქალბატონ ეთერს საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობას, რათა კვლავაც წარმატებით იღვაწოს საქართველოს საკეთილდღეოდ.

**მერაბ ბერძენიშვილი**

## ეროვნული ვალუტა

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტიდან გიორგი ქადაგიძის წასვლის შემდეგ ლარის კურსი დოლართან მიმართებაში საგრძნობლად გამყარდა. თანაც ეს სულ რამდენიმე დღეში, ნახტომისებურად მოხდა. ექსპერტთა ნაწილს დამთხვევის არ სჯერა და ეჭვი არ ეპარება, რომ სწორედ „ქადაგიძის ფაქტორის“ მოხსნის შემდეგ მიეცა ლარს შესაძლებლობა, ბუნებრივ ნიშნულს დაბრუნებოდა. ექსპერტთა ნაწილი კი ობიექტურ პირობებზე, მათ შორის რეგიონში მიმდინარე ცვლილებებზე, ტურიზმის ზრდაზე, ასევე ხელისუფლების მიერ დეფიციტური ხარჯების შემცირებაზე საუბრობს.**

# რატომ იქცევიან ბანკები სხვანაირად ქადაგიძის წასვლის შემდეგ?



### რატომ და რამდენად საფუძვლიანად არ სჯერა ექსპერტთა ნაწილს დამთხვევისა?

„კომერსანტი“ ექსპერტების პირველი ნაწილის პოზიციის დეტალებით დაინტერესდა. კერძოდ, თუ ლარის გაუფასურების მიზეზი გიორგი ქადაგიძის პიროვნული ფაქტორი იყო, ავტომატურ რეჟიმში უნდა შეფასდეს ამ პროცესებში ბანკების მონაწილეობაც, რადგან ლარის გაუფასურების პერიოდში, ექსპერტთა ეს ნაწილი მუდმივად საუბრობდა ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ერთობლივ მოქმედებაზე. ეს ვერსია განსაკუთრებით გაამყარა ვიცე-პრემიერ **კახა კალაძის** მინიშნებამ, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ, ლარის გაუფასურებაზე საუბრისას, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა და კომერციული ბანკები ერთ კონტექსტში ახსენა:

**„რაც შეეხება ქადაგიძის უწყებას, ჩვენ არაერთხელ გავაკეთეთ განცხადება, უბრალოდ დეტალურ ინფორმაციას ვერ ვიღებთ, კანონმდებლობით არ გვაქვს ამის საშუალება. ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრმაც ისაუბრა, რომ უჭირს რაიმე დეტალებზე ისაუბროს, კონკრეტულ ამ ფაქტთან დაკავშირებით, თუნდაც ავიღოთ დიდი ბანკების ტრანზაქციები, არ ვიცით, ბოლო კვირების განმავლობაში რა ტრანზაქციები განახორციელეს „საქართველოს ბანკმა თუ „თი-ბი-სი“ ბანკმა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ამ ყველაფრის ბერკეტი ნამდვილად აქვს. მას შეუძლია, ჩაერიოს ამ კონკრეტულ პროცესში და დაეხმაროს ხელისუფლებას იმ პრობლემის მოგვარებაში, რაც დღეს არის საქართველოში.“**

კალაძის განცხადებას „უხერხული“ უწოდა ეროვნული ბანკის მაშინდელმა პრეზიდენტმა.

ლარის წინააღმდეგ კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის „შეთქმულების თეორიის“ მომხრე ექსპერტების ვარაუდები ემყარებოდა იმას, რომ 2014 წლის ნოემბრიდან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა სარეზერვო ფონდიდან დაახლოებით 280 მილიონი დოლარი გამოიტანა. საუბრობენ, რომ ეს რეზერვები მსხვილმა ბანკებმა შეიძინეს და იმის მაგივრად, რომ მიმოქცევაში გაეშვათ ისინი, დაარეზერვეს.

ექსპერტი ირაკლი ზარქუა, რომელიც ლარის უეცარ გამყარებას სწორედ ქადაგიძის პოსტიდან წასვლით ხსნის, ამბობს, რომ კომერციულ ბანკებს საქმიანობა იმ თამაშის წესებით უწევდათ, რომლებიც ქადაგიძის მმართველობის პერიოდში შეიქმნა და მათი დადანაშაულება ლარის დევალვაციაში არ შეიძლება მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით შესაძლოა გარკვეული ეჭვები მართლაც არსებობდეს.

**„გიორგი ქადაგიძის მმართველობის დროს ჩამოყალიბდა ისეთი სისტემა, რომ კომერციული ბანკების მონაწილეობის გარეშე გამორიცხული იყო ასეთი სპეკულაციური შეტევები ლარის კურსზე. თუმცა, მეორე მხრივ, ბანკებს ვერ დავადანაშაულებთ, რადგან ისინი მოკლე პერიოდში მაქსიმალურ მოგებაზე არიან ორიენტირებულნი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება კი ეროვნულ ბანკს ეკისრება, რომელმაც კომერციულ ბანკებს არ უნდა მისცეს ეროვნულ ვალუტაზე ზემოქმედების საშუალებით მოგების მიღების შესაძლებლობა. თუ ბანკები არ დაემორჩილებოდნენ არსებული თამაშის წესებს, მათ მოუწევდათ ინტელექტბანკის, ლიბერთის და „ქართუ ბანკის“ ბედის გაზიარება,“** — აცხადებს ზარქუა და დასძენს, რომ შესაცვლელია და მეტად გამჭვირვალე უნდა იყოს სისტემა, რომლითაც ყალიბდება კურსი. ექსპერტის თქმით, ქადაგიძესთან ღია ბრძოლა ცუდად იმოქმედებდა საინვესტიციო გარემოზე, ამიტომ ხელისუფლებამ საშუალება მისცა, მშვიდად მისულიყო საკუთარი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, რათა რევოლუციური რყევები არ მომხდარიყო.

ზარქუას თქმით, არც ტურისტების, არც ფულადი გზავნილების და არც ბიუჯეტის დეფიციტური ხარჯვის მიმართულებით იანვარ-თებერვალში არ მომხდარა რაიმე ისეთი უეცარი ცვლილება, რაც ლარის რამდენიმე დღეში გამყარებას გამოიწვევდა.

„როგორც კი ქადაგიძე ჩამოშორდა ეროვნულ ბანკს, ფინანსურმა ჯგუფებმა მიიღეს გზავნილი, რომ ლარი დაუბრუნდებოდა იმ კურსს, რომელსაც ეკონომიკა გვკარნახობს — ესაა დაახლოებით 2,15-2,25. ამიტომაც მათ დაიწყეს დოლარის გაყიდვა. მართალია, ჯერ არ არიან ბოლომდე თავისუფალნი, რადგან ვალუტის კურსის დადგენაში გამჭვირვალობა არაა უზრუნველყოფილი, თუმცა მჯერა, რომ სებ-ის ახალი ხელმძღვანელობა მოახერხებს აღნიშნულის გარანტირებას. ჩემი აზრით, ასეთ პირობებში ეკონომიკა უფრო დინამიურად განვითარდება და ბანკებიც, რომლებიც პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლდნენ, წმინდა საბაზრო პრინციპით დაიწყებენ საქმიანობას,“ — აცხადებს ირაკლი ზარქუა.

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტისა და კომერციული ბანკების ურთიერთსარგებლიან ურთიერთობებზე მიანიშნებს „პირადი ბანკირის“ აღმასრულებელი დირექტორი **ირაკლი ბერძენაძე,** რომელიც ამბობს, რომ მანიპულაციებით მხოლოდ „გარკვეულმა სექტორმა“ ისარგებლა, მოსახლეობა და ბიზნესის დიდმა ნაწილმა კი იზარალა.

მისი თქმით, შეუძლებელია, ლარის უეცარი გამყარება გარე ფაქტორებს უკავშირდებოდეს და აქ უფრო ეროვნული ბანკის მხრიდან გარკვეულ მანიპულაციებს ჰქონდა ადგილი, ხოლო რადგანაც მანიპულაციები შემცირდა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა კურსს ხელოვნურად აღარ „ბერავს,“ დაიწყო სტაბილიზაცია.

ლარის დევალვაციასა და შემდგომ კი მის გამყარებაში კომერციული ბანკების შეგნებულ მონაწილეობაზე არ საუბრობს მიხეილ დუნდუა. როგორც 20/30-ის ექსპერტი აცხადებს, მოიხსნა ხელოვნური ფაქტორები და ახლა უკვე ყველაფერი ნორმალურ კალაპოტშია.

**„როდესაც ხელოვნური ფაქტორი მოიხსნა, შესაბამისად, ყველაფერი დაჯდა ნორმალურ კალაპოტში. თუ ბანკებს არ სჭირდებათ დოლარი, არ იყიდიან, თუ სჭირდებათ, იყიდიან. ეს ასეა. შევხედოთ, როგორი კურსია ეროვნულ ბანკში, როგორია კომერციულ ბანკებში და როგორია გარე ბაზარზე. გარე ბაზარზე გაცილებით უკეთესი კურსია, ვიდრე კომერციულ ბანკებში. ეს იმის მანიშნებელია, რომ მოიხსნა ზეწოლა გარე ბაზარზე. სხვა არაფერი არ ხდება“.**

# უვადოა მხოლოდ ღმერთი!




**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პარლამენტსა და ხელისუფლებას უვადო პატიმრობის წესის გადახედვისკენ მოუწოდებს. როგორც ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას განაცხადა:**

**„ჩვენ გვყავს პატიმრები, რომლებსაც უვადო პატიმრობა აქვთ შეფარდებული, მათ დაკარგული აქვთ ყოველგვარი იმედი, რომ ოდესმე გამოვლენ და დაუბრუნდებიან ოჯახს, საქმეს და სამშობლოს. ჩვენმა პარლამენტმა უნდა იფიქროს ამაზე, რომ უვადო არაფერია ფიზიკურ სამყაროში, უვადო არის მარტო ღმერთი.**

**ესა თუ ის პატიმარი თუ დაადგა გამოსწორების გზას, შრომობს და აკეთებს სიკეთეს, მას შესაძლებელია, შევუცვალოთ უვადო პატიმრობა და დაუწესდეს გარკვეული ვადა. მე მქონდა მათთან შეხვედრა, ისინი ლოცულობენ, შრომობენ, ხატებს წერენ, ამიტომ ჩვენმა პარლამენტმა და ხელისუფლებამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს“,** — ბრძანა ილია მეორემ.

ვიცე-სპიკერი თვლის, რომ პატრიარქის მიმართვა ძალიან ფრთხილ მიდგომას საჭიროებს. მანანა კობახიძის განმარტებით, უვადო პატიმრობის შეფარდება განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება, როცა საქმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს ეხება და ამ სასჯელმა ძალიან არაჰუმანური სასჯელი — სიკვდილით დასჯა ჩაანაცვლა, მას შემდეგ რაც საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა.

**— თუ პატრიარქი გულისხმობდა იმას, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი სასჯელის მოხდის საკითხის გადახედვის შესაძლებლობა, ეს კანონით არის გათვალისწინებული. თუ რაიმე ცვლილებაზეა საუბარი, მაგალითად, რა პერიოდულობით გადაიხედოს ან სხვა, ეს შეიძლება იყოს მსჯელობის საგანი. საკითხი კომპლექსურია, ფრთხილ მიდგომებს საჭიროებს და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება არ შეიძლება,** — აცხადებს მანანა კობახიძე.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე თვლის, რომ პატრიარქი საკმარისად არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რა ვითარებაა უვადო პატიმრობასთან დაკავშირებით. როგორც ხმალაძე ამბობს, უვადო პატიმრობასთან დაკავშირებით კანონში ცვლილებები შარშან შევიდა.

**— კანონის მიხედვით, თუ პირს უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი, 20 წლის პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ, ის შეიძლება გათავისუფლდეს საპატიმროდან, თუ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია დადებითად ახასიათებს მას; არ არღვევს შინაგანაწესს; მოინანია დანაშაული; აღარ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის. თუ პატიმარი ამ ყველაფერს აკმაყოფილებს, მაშინ გადაისინჯება მისთვის დანიშნული სასჯელი და იგი შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან. ასევე, 15 წლის პატიმრობის მოხდის შემდეგ, თუ პირი დადებითად ხასიათდება, შესაძლოა, გადაისინჯოს მისი დანიშნული სასჯელის სახე და ნაცვლად თავისუფლების აღკვეთისა, სხვაგვარი შეზღუდვა დაუწესდეს. ეს შეზღუდვა შეიძლება იყოს ქვეყნიდან გაუსვლელობა, საცხოვრებლიდან სხვა ადგილებში გადაადგილება.**

იურისტი ლევან ალაფიშვილი თვლის, რომ პატრიარქის განცხადება ეხებოდა არა სასჯელის გაუქმებას, არამედ შანსის მიცემას. ალაფიშვილის განცხადებით, მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, საზოგადოებასთან დაბრუნების შანსი გამოიყენოს. მისივე თქმით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სასჯელის შეკრებითობის პრინციპი. შესაბამისად, თუკი პარლამენტი იმსჯელებს უვადო თავისუფლების აღკვეთის გაუქმებაზე, ამ შემთხვევაში კანონმდებელს მოუწევს ზრუნვა სანქციების გაზრდაზე.

იურისტი ირმა ჭკადუა თვლის, რომ პარლამენტმა უნდა გამოასწოროს დაშვებული ხარვეზი, რადგან კანონი ამნისტიის შესახებ, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ყველა პატიმარს შეეხო, გარდა უვადო მსჯავრდებულებისა.

**— დეპუტატები, როგორც მინიმუმ, თავს უხერხულად უნდა გრძნობდნენ და მაქსიმუმ, დამნაშავედ, რადგან მათ მიერ მიღებულმა კანონმა ეს ადამიანები არათანაბარ პირობებში ჩააყენა. ახლა პარლამენტს აქვს შესაძლებლობა, გამოასწოროს ის დანაშაული, რაც ჩაიდინა და მიიღოს კანონი. 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის შესახებ კანონი შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ ამ ადამიანებთან მიმართებაში. უვადო პატიმრებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი სასამართლოში რომ გაესაჩივრებინათ, მერწმუნეთ, გაიმარჯვებდნენ, რადგანაც კანონი მათთან მიმართებაში არათანაბარი იყო,** — აღნიშნა ირმა ჭკადუამ.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი ზაქარია ქუცნაშვილი ყურადღებას უვადო პატიმრობის გადახედვის მექანიზმებზე ამახვილებს და for.ge-სთან საუბარში ამბობს, რომ პატრიარქის მოწოდება შეიძლება ითქვას, გაზიარებულია, რადგან 2014 წელს, „სისხლის სამართლის კოდექსი“ შეიცვალა და 15-წლიანი სასჯელის მოხდის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება, რომ პატიმარმა საქმის გადახედვა მოითხოვოს.

კანონმდებელი აცხადებს, რომ ის, როგორც იურისტი, ამ საკითხზე მსჯელობის ფართო დიაპაზონს ვერ ხედავს, რადგან მისი განმარტებით, უვადო მსჯავრდება ვადიანი სასჯელისგან იმით განსხვავდება, რომ რაღაც ვადის გასვლა არ ნიშნავს, რომ პატიმარი გათავისუფლდება და სახლში წავა.

რაც შეეხება ოპოზიციის განწყობას, for.ge-სთან საუბარში ნაციონალი ნუგზარ წიკლაური აცხადებს, რომ პატრიარქის სულისკვეთება აბსოლუტურად გასაგებია, რომ სასოწარკვეთილი ადამიანი არ უნდა იყოს.

**— როგორც წესი, სასჯელის ეს ფორმა განკუთვნილია მკვლელობისთვის, მძიმე დანაშაულისთვის. ამ ადამიანებს პრეზიდენტისგან შეწყალების უფლება აქვთ. თუკი ჩვენ შეგვიძლია, რომ ამ უფლებათა ნუსხას კიდევ სხვა უფლებები დაემატოს, ეს იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ამ პატიმრებს განცდა არ ჰქონდეთ, რომ ისინი ციხეში სიცოცხლის ბოლომდე დარჩებიან. ვფიქრობ, რომ ამ თემაზე მსჯელობისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ დიდი ნაწილი თანახმა იქნება,** — დასძენს წიკლაური.

**თეონა მანაგაძე,**
**მართა ლაბაძე**

## ინფორმაცია: შინ და გარეთ

## ყველა ტრადიციული რელიგია, დაიცავს და აკურთხებს მხოლოდ კანონიერ მეუღლეებს შორის სიყვარულს

**საქართველოს** საპატრიარქო პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ ვგმობთ ყოველგვარი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღებისა და გასაჯაროების ფაქტს და მივიჩნევთ, რომ ასეთი ქმედება არის გამიზნული ბოროტება და დანაშაული, როგორც ამა თუ იმ პიროვნების, ისე ქვეყნის წინააღმდეგ.

ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანული სამყარო, ისევე როგორც ყველა ტრადიციული რელიგია, რა თქმა უნდა, დაიცავს და აკურთხებს მხოლოდ კანონიერ მეუღლეებს შორის სიყვარულისა და ქორწინების საფუძვლებზე დამყარებულ ურთიერთობებს და ყოვლად მიუღებლად თვლის ნებისმიერი სახის სხვა თანაცხოვრებას. რაც შეეხება მონანულ ადამიანს, მას ეკლესია იწყნარებს და სიყვარულით უღებდა და კვალავაც გაუღებს კარს“.

## საქართველოში უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია

**ბრიუსელში** მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ, საქართველოში უსაფრთხოების ყველა ზომაა მიღებული. ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, ნინო გიორგობიანმა განცხადა.

„გამკაცრებულია უსაფრთხოების ზომები საზღვრებსა და აეროპორტებში. ასევე გამკაცრებულია კონტროლი ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტზე“, — აღნიშნა ნინო გიორგობიანმა.

## შინაგან საქმეთა მინისტრი ბელარუს კოლეგას შეხვდა

**მინსკში** პირველი ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ბელარუსის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ იგორ შუნევიჩს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის, ორგანიზებულ და ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლისა და ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

საქართველოს შს მინისტრმა ბელარუს კოლეგას სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები გააცნო. როგორც გიორგი მღებრიშვილმა აღნიშნა, „დანაშაულს საერთოდ და, კერძოდ, ორგანიზებულ დანაშაულს, საზღვრები არ გააჩნია. ამდენად, სახელმწიფოების სამართალდამცავი ორგანოების მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას კიდევ უფრო ეფექტიანს



ხდის“. ბელარუსის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ქართული ბიზნესი ბელარუსში თავს დაცულად გრძნობდეს და განვითარდეს. იგორ შუნევიჩმა ასევე ხაზი გაუსვა ქართული პოლიციის მაღალ სტანდარტს და ყურადღება გამოცდილების ურთიერთგაზიარების მნიშვნელობაზე გაამახვილა.

## განათლების სამინისტრო თსუ-ს სტუდენტებს მიმართავს

„**ძვირფასო** სტუდენტებო, ვაფასებთ თქვენს სურვილს, წვლილი შეიტანოთ იმ ცვლილებების პროცესში, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს საუნივერსიტეტო ცხოვრება. ამასთან, მყარად გვჯერა, რომ ამ ტიპის ცვლილებების სრულფასოვნად განხორციელება მხოლოდ თქვენი მონაწილეობითაა შესაძლებელი.

ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა გამოვხატოთ მზაობა, დავიწყოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასატარებელ რეფორმებზე მსჯელობა. მზად ვართ, განვიხილოთ ნებისმიერი თქვენი წინადადება და შემოთავაზება ყველა თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხზე. სწორედ ამიტომ, გთავაზობთ ყველა დაინტერესებულ სტუდენტს, შეარჩიოთ თქვენი წარმომადგენლები და მობრძანდეთ ხვალ, 23 მარტს, 15:00 საათზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სადაც შევთანხმდებით ყველა იმ თემაზე, რაზეც მომავალში ინტენსიურ მუშაობას დავიწყებთ“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

## დავით ნარმანია სტრასბურგში შეხვედრებს მართავს

**თბილისის** მერი დავით ნარმანია ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგში იმყოფება. დედაქალაქის მერი ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის 30-ე პლენარულ სესიაში მიიღებს მონაწილეობას.

სესიის დაწყებამდე პირველი შეხვედრა, რომელსაც, ვიზიტის ფარგლებში, დავით ნარმანია დაესწრო, აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების კონგრესის თანამშრომლობის აქტივობების განხილვა იყო. ევროპის სასახლეში გამართულ შეხვედრას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომელთაც კონგრესის ხელმძღვანელობასთან ერთად, თანამშრომლობის აქტივობები მიმოიხილეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

შეხვედრისას ხაზი გაესვა, რომ თბილისი საკმაოდ ინტენსიურად თანამშრომლობს კონგრესთან და მათ შორის, აღსანიშნავია ვორქშოფი — „მერები — ლიდერები ცვლილებებისათვის“, რომელიც საქართველოში საკმაოდ წარმატებულად განხორციელდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოში განხორციელებულ პროგრამაზე ისაუბრა ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის სეკრეტარიატის თანამშრომლობის აქტივობების ხელმძღვანელმა მარიტა მორასმაც და ქვეყანაში მიმდინარე აქტივობები დადებითად შეაფასა.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი



დაოკდით... პატრიოტებო?!

# მილ პარდონი და... ათასობით ბოდიში სართად!





**მაშ ასე, დაივიწყეთ, ჩემო კარგებო, ტაო-კლარჯეთი! დაივიწყეთ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არის ქართული სულიერი კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლები! მოთოკეთ თქვენი პრეტენზიები თურქეთის ხელისუფლებისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ნელა ან სულაც არ არემონტებენ ქართულ მონასტრებს! დაივიწყეთ იმის შესახებ, თუ რას ადასტურებდნენ ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფეები!**

ერთადერთი, რისი გაკეთებაც თქვენ შეგიძლიათ, არის ის, რომ – მთელი ხმით იყვიროთ: „ვაშა, ურა, ბანზაი!“ და შეუნელებლად უკრათ ტაში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს ზვიად კვაჭანტირაძეს, რომელმაც თავის კოლეგას, საპარლამენტო ფრაქციის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერს, დეპუტატ გოგი თოფაძეს უსაყვედურა იმისთვის, რომ გაბედა და პარლამენტში განაცხადა, თურქეთსაც აქვს ზოგიერთი ქართული ტერიტორია ოკუპირებულიო.

რაო? ქართული მიწების ოკუპირება მოახდინაო? ვინ, თურქეთმა? საიდან მოიტანა ეს მან. საბჭოთა ყაიდის ძველმა მეწარმემ, რომელიც ყოველ ნაბიჯზე აქებს „სისხლის მსმელ“ სტალინს და გამოდის, (გაფიქრებაც კი საშინელებაა!), საქართველოს ნატოში შესვლის წინააღმდეგ?! დიახ, ეს არასოდეს ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან არასოდეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო!

განა ტყუილად თქვა ვიღაცამ, რომ გოგი თოფაძე ზოგიერთ თავის კოლეგას ძვალივით გაეჩხირა ყელში. დიდი ხნის წინათ უნდა დაშოშმინებულიყო, დადუმებულიყო, დამცხრალიყო. მაგრამ არა, არ ჩუმდება, არ წყნარდება და არც არაფრით ცხრება! „თეთრი ყვავია“ რაღაც! ხან ამტკიცებს, რომ გორის ყოფილი სემინარიელი სოსოია ჯუღაშვილი, ხალხში კი სტალინად ცნობილი, არის გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურა, ვისი პორტრეტებიც არა დღეს, არამედ ხვალ ყველა ქართველი ჩინოვნიკის კაბინეტში უნდა ეკიდოს. ხან გამოთქვამს უკმაყოფილებას ნატოს ხელმძღვანელთა ქცევის გამო, რომლებიც უკვე ორი ათეული წელია, ასულელებენ ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს დაპირებებით – საქართველოს ამ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში მივიღებთო, მაგრამ არაფრით არ ღებულობენ.

ამ ცოტა ხნის წინათ კი თოფაძემ თავის თავსაც გადააჭარბა. ბრალი დასდო თავის კოლეგას, თავდაცვის მინისტრს თინათინ ხიდაშელს იმაში, რომ მან საგარეჯოს რაიონში გააყალბა პარლამენტის არჩევნები.

რა თქმა რომ, არაკოლეგიურად მოიქცა, უნდა გაჩუმებულიყო, მაგრამ არ გაჩუმდა. დაიწყო ჩაცივება წვრილმანებზე. საქმე კი, სხვათა შორის, კაპიკადაც არ ღირდა. საგარეჯოში პარლამენტში კენჭს იყრიდა თავდაცვის მინისტრის ნათესავი. როგორ შეიძლებოდა არ დახმარებოდა, მით უმეტეს, რომ ამის გაკეთებას არანაირი შრომა არ სჭირდებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ჩაგეყვანა საგარეჯოში მცირე სამხედრო ქვედანაყოფი და შეგეთავაზებინა მისთვის, ხმა მიეცა საჭირო კანდიდატისთვის. სამხედროები კი, მადლობა ღმერთს, ბრძანებებს ჯერჯერობით ემორჩილებიან და დადებითი შედეგი არჩევნების დროს საგარეჯოში ადვილად უზრუნველყო!

რასაკვირველია, თოფაძის განცხადებებს მისი თანაპარტიელები პარლამენტარები, მთავრობის წევრები და სხვ). გაემიჯნენ და დაშორდნენ კიდეც, ხშირად ღიად აკრიტიკებდნენ „მმართველი კოალიციის დეკლარირებული პოლიტიკისაგან“, ესე იგი, გენერალურ ხაზისგან გადახვევის გამო. შარშან ნოემბერში ჭირვეულმა დეპუტატმა თქვა, რომ ჩააბარებს თავის მანდატს და დატოვებს პარლამენტს, ვინაიდან არ სურს, იყოს ზედმეტი ტვირთი კოალიციისთვის. მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩაუბარებია და არსადაც არ წასულა.

და აი მორიგი სკანდალი. რამ გააკეთებინა დეპუტატ თოფაძეს „მოუფიქრებელი და წინდაუხედავი“ განცხადება, რამაც აიძულა მისი კოლეგები, ათასგზის მოეხადათ ბოდიში ძლიერი სამხრეთელი მეზობლისთვის.

ინციდენტი მოხდა ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის პარლამენტში ვიზიტის დროს – იქ მიმდინარე საკომიტეტო მოსმენებისას. ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ გამოთქმული კრიტიკის პასუხად, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს ხელისუფლების რუსეთის კომპანია „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებთან, თოფაძემ მოულოდნელად თქვა: **„თქვენ ამბობთ, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკება არ შეიძლება, ვინაიდან რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა... მაგრამ თუ ასე მივუდგებით** (ამ საკითხს –ვ.ა. ), **მაშინ თურქეთმა, საიდანაც საქართველოში შემოდის ამდენი** (სამრეწველო და სასურსათო – ვ.ა.) **ნაგავი, განა არ მოახდინა** (თავის დროზე – ვ.ა.) **ჩვენი ტერიტორიების ოკუპირება?!“**

და აქ დატრიალდა?! უბრალოდ კოშმარი!

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე პირდაპირ დაითრგუნა მოსმენილისგან: **„მინდა, ბოდიში მოვიხადო უმრავლესობაში შემავალი ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელის განცხადების გამო, რომელიც, ჩვენი აზრით, არის არაკორექტული გამონათქვამი ჩვენ პარტნიორთან და მეგობართან – თურქეთთან დაკავშირებით. ვარწმუნებ ჩვენ თურქ მეგობრებსა და კოლეგებს, რომ ამ აზრს არ იზიარებს არც პარლამენტის უმრავლესობა, არც საქართველოს ხელისუფლება“.**

ერთი სიტყვით, მიიღეთ ჩვენი ბოდიშები, სტამბოლელო და ანკარელო ბატონებო! რა შუაში არიან აქ ჩვენები?! საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მიხეილ ჯანელიძეს მოუწია, უარეყო თოფაძის „ცილისმწამებლური“ აზრი. სხვათა შორის, ამის გაკეთება არც ისე რთული იყო. განა ამაოდ ამბობენ – ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. **„როგორც ჩვენი უწყების, ისე მთავრობის სახელით მინდა გავემიჯნო ბატონი გოგი თოფაძის განცხადებას,** – იჩქარა აზრის გამოთქმა მინისტრმა. **– თურქეთი არის საქართველოს მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი როგორც ეკონომიკური და სავაჭრო, ისე საინვესტიციო თვალსაზრისით. ჩვენ ყოველდღიურად ვაღრმავებთ ორმხრივ თანამშრომლობას თურქეთთან, რომელიც არის მეტად მყარი და ემყარება მრავალწლიან მეგობრობას, ურთიერთპატივისცემასა და სტრატეგიულ თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის“.**

**ერთი სიტყვით, დაივიწყეთ საკუთარი ისტორია და გეოგრაფია, ჩემო კარგებო! დაივიწყეთ, რას ამტკიცებდნენ ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფეები! დაივიწყეთ, რა თქვა თოფაძემ! დაივიწყეთ ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი!**

**ვინაიდან ასეთია ცხოვრება –„სე ლა ვი“! – როგორც ფრანგები ამბობენ.**

**და მილ პარდონ!**

**ვადიმ ანასტასიადი**

მოძრაობის უსაფრთხოება

# წესებს ნუ დაარღვევთ და...

## შსს მძღოლთა დაჯარიმების გახშირების მიზეზებს განმარტავს

**პატრულის მიერ 200 ლარით დაჯარიმებული მოქალაქეების ნაწილი საპატრულო პოლიციის წინააღმდეგ სასამართლოში საერთო სარჩელს შეიტანს. სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შექმნილ გვერდზე STOP-ი ერთიანდებიან მძღოლები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ პატრულმა უსაფუძვლოდ დააჯარიმა დგომა-გაჩერების წესების დარღვევისთვის. მძღოლების ინფორმაციით, მათ დგომისას არც საცობი და არც სხვა ტიპის საგზაო შეფერხება არ გამოუწვევიათ.**

ერთ-ერთი, ვინც სარჩელის შეტანას სასამართლოში აპირებს, გეგა კალმახელიძეა. მისი თქმით, პატრული უსაფუძვლოდ აჯარიმებს მძღოლებს, რისი დადასტურებაც მას საკუთარი მაგალითით შეუძლია.

**„მე პირადად დამიწერეს 200-ლარიანი ჯარიმა აბსოლუტურად უწყინარ სიტუაციაში. ვიდეო მაქვს, სადაც ჩანს, რომ არც საცობს ვქმნი და არც ვაფერხებ სიტუაციას. ეს ვიდეომასალა საპატრულოში გასაჩივრებისას დავურთე, მაგრამ არ მიიღეს, როგორც მასალა. პატრულის ჩვენება უფრო სანდოდ მიიჩნიეს, ვიდრე ჩემი ვიდეოფირი“,** – აცხადებს გეგა კალმახელიძე „კომერსანტთან“ საუბრისას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი მიიჩნევს, რომ დაჯარიმების კანონიერება და მიზანშეწონილობა სასამართლოს გასარჩევია. ზოგადად გზების მოწესრიგებასთან დაკავშირებით პატრულის გააქტიურებას კი მიესალმება.

**„ერთადერთი პრობლემა არის ის, რომ მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით მართლა მაღალი ჯარიმაა და ბევრ ადამიანს უჭირს ამის გადახდა. მეორე მხრივ, ისეთ შემთხვევებს ვაწყდებით ქალაქში, ისეთი უკულტურო მძღოლები არიან , ნამდვილად უნდა დაჯარიმდნენ ეს ადამიანები, რომ მეორედ არ გაიმეორენ ასეთი რამ. ამ ადამიანებისთვის 10-ლარიანი ჯარიმა არის ძალიან დაბალი. რეალურად ჯარიმის სიდიდის გამო ატყდა ამხელა ამბავი“,** – აცხადებს ეკა ლალიაშვილი და აღნიშნავს, რომ პრეტენზიების მქონე ადამიანებმა საკუთარი უფლებები სასამართლოში უნდა დაიცვან და არა ქუჩაში აქციების მეშვეობით.

„კომერსანტი“ კომენტარის მოპოვებას შინაგან საქ-



მეთა სამინისტროშიც შეეცადა, სადაც დაგვიდასტურეს, რომ საპატრულო პოლიციამ გაამკაცრა ადმინისტრირება ისეთ დარღვევებზე, როგორიცაა დგომა-გაჩერების წესების დარღვევა, რომელიც შეფერხებას ან საცობს ქმნის.

**„ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მძღოლთა მიერ მიერ დგომა-გაჩერების წესების უგულებელყოფის შემთხვევები, რაც გამოიხატება სატრანსპორტო საშუალების გზის სავალი ნაწილის სამოძრაო ზოლში გაჩერებით. იმ პირობებში, როდესაც ფაქტია სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და, შესაბამისად, მოძრაობის ინტენსივობის ზრდა, ამგვარი შემთხვევები მნიშვნელოვნად აფერხებს საგზაო მოძრაობას და ქმნის მისი პარალიზების მაღალ რისკს. აღნიშნული გარემოებების გამო, შსს-ს საპატრულო პოლიცია, თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იძულებულია, გაამკაცროს ადმინისტრირება დგომა-გაჩერების ისეთ დარღვევებზე, რომლებიც იწვევს საგზაო მოძრაობის შეფერხებასა და ე.წ. საცობის შექმნას“,** – განუცხადეს „კომერსანტს“ საპატრულო პოლიციაში.

ამასთან, უწყება განმარტავს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის იმ ნაწილს, რომელიც სატრანსპორტო საშუალების დგომა-გაჩერების წესებს არეგულირებს.

**„საქართველოს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლით განსაზღვრულია სატრანსპორტო საშუალების დგომა-გაჩერების წესები, რომლებიც მოიცავს როგორც „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ ამკრძალავ ნიშნებს, ასევე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს. კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების დგომა ნებადართულია ერთ რიგად, სავალი ნაწილის კიდის პარალელურად, ის უნდა იმყოფებოდეს სავალი ნაწილის კიდესთან რაც შეიძლება ახლოს და ა.შ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევს ამკრძალავი ნიშნების „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე, დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა, რაც ითვალისწინებს ჯარიმას 10 ლარის ოდენობით. მოქმედი კანონმდებლობით, უფრო მკაცრი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა დაწესებული, როდესაც ზემოაღნიშნული დგომა-გაჩერების წესების დარღვევას მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რამაც გამოიწვია საცობი. ეს ითვალისწინებს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, დამრღვევი შეიძლება გათავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობიდან და უფლებამოსილი პირი მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლოს“,** – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

**სალომე მეცხვარიშვილი**

◉ მეზობელო კარისაო, სიბნელე ხარ თვალისაო?!



# რუსეთი და მისი „ჩაუძირავი ავიამზიდები“ საქართველოში

**ამ რამდენიმე ხნის წინათ „ქართული ოცნების“ არაფორმალურმა ლიდერმა განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს „ვერსად წაიღებს“.**

**გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილის თქმით, „საუბრები რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტთა შეხვედრის შესახებ არ არის სერიოზული“.**

**თავად რომ იყოს პრეზიდენტი (დავით უსუფაშვილი, 2013 წელს, მას სწორედ ამგვარ „როქს“ სთავაზობდა, თუმცა უარი მიიღო) არა მგონია, ბიძინა ივანიშვილს ასეთი განცხადება გაეკეთებინა, თუმცა პრეზიდენტ მარგველაშვილისადმი მისი დამოკიდებულება ცნობილია და არც იცვლება, — პრემიერ-მინისტრთა ცვალებადობის მიუხედავად.**

**ზემომოყვანილ განცხადებაში ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ იმეორებს ცნობილ ქართულ ნარატივს „ზურგზე ვერმოკიდების“ შესახებ.**

რა თქმა უნდა, რუსეთი „ზურგზე ვერ მოიკიდებს“ ჩვენს ტერიტორიებს და ვერსად წაიღებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მას ეს არც სჭირდება და არც აპირებს! არა მხოლოდ გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით: მას სჭირდება (ახერხებს კიდეც) ეს ტერიტორიები გადააქციოს „ჩაუძირავ ავიამზიდად!“

არის ასეთი ტერმინი პოლიტოლოგიაში, რომელიც აღნიშნავს სამხედრო ტექნიკით და ჯარით გაძეძგილ მიწაწყალს, რაც გამოიყენება რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. სწორედ ასეთ „ჩაუძირავ ავიამზიდად“ აქცია მოსკოვმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებსაც „ავტონომიები“ ერქვა, დღეს კი „დამოუკიდებელი რესპუბლიკები“ ეწოდება.

ზურგზე მართლა „არ მოიკიდებს“ იმ აზრით, რომ მაგალითად, სულაც არ აპირებს, ჯერჯერობით, მიიერთოს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“: ოს სეპარატისტთა ლიდერები სულ იმის ცდაში არიან, როგორმე ჩაატარონ რეფერენდუმი და „ჩრდილო ოსეთს“ შეუერთდნენ, ანუ შევიდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგებლობაში. კრემლიდან კი აკრძალვა მოსდით: მოსკოვს არ აწყობს ასეთი რეფერენდუმი, რადგან მაშინ დადგება არასასურველი არჩევანის წინაშე და იძულებული იქნება, ან ერთმნიშვნელოვანი უარი უთხრას, ან დაეთანხმოს.

**რატომ არ აწყობს? იმიტომ, რომ „სამხრეთ ოსეთიც“ და აფხაზეთიც მას სჭირდება იმ სტატუსით, როგორითაც დღეს ამყოფებს: ფსევდოდამოუკიდებელი „სახელმწიფოებისა“, რომელთაც ფორმალურად ჰყავთ საკუთარი არმიები, საკუთარი სპეცსამსახურები და ა.შ.**

> **ანუ ის, რაც პუტინს არ სჭირდება და რის გაკეთებას არც აპირებს**

რისთვის სჭირდება ეს ყოველივე მოსკოვს? პასუხი ისტორიულ პრაქტიკაშიც შეიძლება ვიპოვოთ: ცოტამ თუ იცის, რომ 2008 წლის აგვისტოში, სამეგრელოს თავს დაესხა არა მხოლოდ გენერალ შამანოვის სადესანტო დაჯგუფება, არამედ ე.წ. „აფხაზური არმიის“ ქვედანაყოფები! მაშინ არავინ მიაქცია ყურადღება და დღემდე არავინ საუბრობს, ან სვამს კითხვას: ვინ იყვნენ ის უცნაურფორმიანი ჯარისკაცები, რუსებთან ერთად რომ ისხდნენ ჯავშანმანქანებზე ზუგდიდში, რომელთა ფორმა (სპეციალისტებმა უმალვე შენიშნეს) ოდნავ, მაგრამ მაინც განსხვავდებოდა რუსული სამხედრო ფორმისაგან?

ცოტანი იყვნენ. არა უმეტეს მეოთხედისა, მაგრამ ხომ იყვნენ?

რუსებთან ერთად მოძრაობდნენ სენაკში, არბევდნენ სამხედრო ბაზას და მზად იყვნენ, მცირედი წინააღმდეგობის შემთხვევაში, ერთიანად აეოხრებინათ მთელი სამეგრელო.

სწორედ ისინი დაიძრნენ (რუსებთან ერთად) ზუგდიდიდან — ჯვრისკენ, რამაც აიძულა კოდორის ხეობაში დისლოცირებული ქართული ბრიგადა, აქაოდა „ალყას გვარტყამენო“, ხეობა მიეტოვებინა იარაღის ჩაბარებით.

აი, სწორედ ამ მიზნით სჭირდება რუსეთს „დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთი“, რომელიც ყოველთვის შეიძლება გამოიყენოს ჩაფრად, ვითომდაც „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ ფორმით — საქართველოს წინააღმდეგ სხვადასხვა პროვოკაციის მოსაწყობად.

მაგალითად, თუკი მომავალში მოსკოვს დასჭირდა „ნატოსთან“ საქართველოს დაახლოებისთვის ხელის შეშლა, პირდაპირი აგრესიაც არ გაუჭირდება. ოღონდ, ერთდროულად რამდენიმე მიზეზის გამო. ამგვარი ტექნოლოგია მისთვის ნაკლებ კომფორტულია, ვიდრე ის, რომ ტერიტორია „ზურგზე კი არ მოიკიდოს“, მით უმეტეს აფხაზეთი კი არ „არჩინოს“ (როცა ზოგიერთ საკითხში ურჩობას ბედავს და სახლებს რუსებზე არ ყიდის), არამედ განამტკიცოს მათი ე.წ. „დამოუკიდებლობა“ და „რამე რომ იყოს“ არა რუსეთის ფედერაციამ, არამედ სამხრეთ ოსეთმა შეუტიოს საქართველოს ე.წ. „თრიალეთის ოსეთის“ („ტრიალეტსკაია ოსეტია“) ან „თრუსოს ხეობის“ დასაბრუნებლად, რომელიც თურმე ბერიამ და სტალინმა მიაკუთვნეს საქართველოს და სინამდვილეში ერთიან „ოსეთ-ალანიას“ უნდა ეკუთვნოდეს.

ასევე, აფხაზეთი: თუ მოსკოვმა კიდევ ერთი აგრესია განიზრახა, მისთვის ბევრად კომფორტული იქნება, სწორედ ე.წ. „აფხაზეთის არმიამ“ და არა რუსეთის არმიამ შეუტიოს ენგურის წყალსაცავს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტოს ის პრობლემა, რომ კავკასიაში უდიდეს ელექტროსადგურს ნაწილობრივ მაინც (ენგურჰესის კაშხლის სახით) თბილისი აკონტროლებს.

ამიტომ, ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც აცნობიერებს საქართველოს გრძელვადიან ინტერესებს, იმას კი არ უნდა ამბობდეს, „რუსეთი საქართველოს ტერიტორიებს ვერსად წაიღებს“ ან „ზურგზე ვერ მოიკიდებს“ და „ტომრით ვერ გაიტანსო“, არამედ პირიქით, დღენიადაგ უნდა ყვიროდეს, რომ უკვე წაიღო, დაიპყრო, მიისაკუთრა, მთლიანად აკონტროლებს, და რომ ეს ტერიტორიები საქართველოს წინააღმდეგ მომართულ „ჩაუძირავ ავიამზიდად“ არიან ქცეული, ხოლო ამ „ჩაუძირავი ავიამზიდიდან“ ყოველ წუთს, ყოველდღე, ყოველ კვირა, ყოველ თვე და წელს შესაძლებელია მორიგი რუსული აგრესია არა მარიონეტული „არმიების“, არამედ სწორედ ეთნიკური „დიზაინით“ გაწყობილი რუსული ქვედანაყოფების მონაწილეობით.

**მაგრამ ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი უდიდესი უბედურება ისაა, რომ ჩვენს ელიტებს კონსოლიდირებული პოლიტიკის უნარი არა აქვთ და ვერაფერში თანხმდებიან. იმაში მაინც, რა როლს ასრულებს რუსეთი საქართველოს ტერიტორიათა წაგლეჯის საქმეში და როგორი დამოკიდებულება (არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ, ელემენტარულად, საზოგადოებაში სწორ მესიჯთა მიმართვის თვალსაზრისით) იქნებოდა ჯანსაღი და მიზანშეწონილი.**

**მიხეილ გეწაძე**

◉ თანამშრომლობა

# რამდენის გაგვაქვს და რამდენისა შემოგვაქვს?



## საგარეო ვაჭრობის ტენდენციები

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური წლევანდელი ორი თვის საგარეო სავაჭრო ბრუნვის შესახებ მონაცემებს აქვეყნებს. ჯამურმა ბრუნვამ 1,413 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 პროცენტით ნაკლებია. განსაკუთრებული კლება აღინიშნება ექსპორტში — 13 პროცენტი. უფრო მეტიც, 2014 წელთან შედარებით, ექსპორტის ჯამურმა მოცულობამ 36 პროცენტით იკლო. ექსპორტისგან განსხვავებით, იმპორტის მოცულობა შედარებით სტაბილურობით გამოირჩევა და, შესაბამისად, იანვარ-თებერვლის მდგომარეობით, სავაჭრო სალდო რეკორდულად უარყოფითია და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 60 პროცენტს შეადგენს.**

ქვეყნების ჯგუფების მიხედვით თუ განვიხილავთ, 2016 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 532 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 38 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 77 მლნ. აშშ დოლარი იყო (28 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 454 მლნ. აშშ დოლარი (63 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 38 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში 28 პროცენტი და იმპორტში 40 პროცენტი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმპორტის სტატისტიკის მკვეთრი ცვლილება უკავშირდება C ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამის ფარგლებში საქართველოში დიდი რაოდენობით მედიკამენტის შემოსვლას. ეს მედიკამენტები ქვეყანაში გრანტის ფარგლებში შემოდის და, შესაბამისად, ლარის კურსზე იმპორტის მკვეთრი ზრდა უარყოფით ეფექტს არ მოახდენს.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის განცხადებით, მედიკამენტების ქარხანა აშშ-შია, თუმცა იგი ირლანდიიდან შემოდის. შესაბამისად, იმპორტიორ ქვეყნებს შორის ირლანდია და, ზოგადად, ევროკავშირის ჯგუფის ქვეყნები დაწინაურდნენ. იმავე მიზეზით, სამკურნალო საშუალებები მთლიანი იმპორტის 20,7 პროცენტია, ხოლო ნავთობპროდუქტების იმპორტმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა და 7,7 პროცენტი შეადგინა. მთლიანი იმპორტის 5,5 პროცენტი უკავია მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს.

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2016 წლის იანვარ-თებერვალში 353 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2015 წელთან შედარებით, 18 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 74 მლნ. აშშ დოლარი (33 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 279 მლნ. აშშ დოლარი იყო (12 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი შემცირდა 25 პროცენტამდე, მათ შორის, ექსპორტში 26 პროცენტი და იმპორტში 25 პროცენტი.

2016 წლის იანვარ-თებერვალში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 57 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 20 პროცენტი შეადგინა. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 23 მლნ. აშშ დოლარს და, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 8 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე თხილის და სხვა კაკლის ჯგუფი იყო. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 21 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 7 პროცენტი შეადგინა.

ექსპორტის მხრივ, უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნებია: ჩინეთი (მთლიანი ექსპორტის 13 პროცენტი), თურქეთი (11 პროცენტი), ბულგარეთი (9 პროცენტი), რუსეთი (8 პროცენტი), სომხეთი (5.5).

**ირინა გურული**

◉ ინფორმაცია

## პროექტების განხორციელება მიმდინარეობს

**გლდანის რაიონის გამგებელმა ბესიკ ქარცივაძემ და საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ქეთევან ჯოხაძემ, მუხიანის დასახლებაში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერეს.**

**მერიის ინფორმაციით, მუხიანის II მ/რ-ის მე-12 და IV მ/რ-ის 39-ე კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია განხორციელდა, სამუშაოების ფარგლებში, ძველი მავთულბადეები შეიცვალა ახლით, დაიგო ხელოვნური მწვანე საფარი, დამონტაჟდა კალათბურთის ფარი და ფეხბურთის კარი. ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა IV მ/რ-ის მე-17 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის შიდა კვარტალურ გზას.**

**დუმბაძის გამზირზე, მე-5 და მე-11 კორპუსების მიმდებარედ 3 551 კვ/მ. ტერიტორიაზე დაიგო ასფალტის ახალი საფარი, მოეწყო ბორდიურები, გაკეთდა კიბეები და პანდუსები. სადარბაზოებთან მისასვლელ მოედნებზე დაიგო დეკორატიული ბეტონის ფილები.**

ჯი-ეიჩ-ენი

# ალმოჩენა ლანგარზე და სამოცდათხუთმეტწლიანი უსულგულობა



„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი“ — ლამის გვეჩხუბებოდა **ილია ჭავჭავაძე**.

„ძმავ ინგოროყუ, პოეტო ადრე და მერე დარდო წარსულ დიდების“ — ეფერებოდა **პაოლო იაშვილი** ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ილიელს.

ეს იყო, ალბათ, ერთადერთი საკითხი, სადაც **პავლე ინგოროყვა** თავის სათაყვანებელ ილია ჭავჭავაძეს არ უჯერებდა. შეაჭმევინა კიდეც საკუთარი სხეული წარსულ დიდებაზე დარდს და, რაც მთავარია, მის კვლევასა და სამზეოზე გამოფენას. შემთხვევით არ აღნიშნავდა **კონსტანტინე გამსახურდია**: „ არც ისე მაგარი ფიზიკური კონსტიტუციის მიუხედავად, მაშინაც არ ეშვება საწერ მაგიდას და სტამბას, როცა მისი ჯანმრთელობა კატასტროფის ზღურბლზეა მისული“...

* * *

უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტური წლებიდან ერთ-ერთ ყველაზე მძაფრ შთაბეჭდილებად გამომყვა შეხვედრა, რომელიც პავლე ინგოროყვას დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა. მაშინ როსტომ ჩხეიძეს პირადად არ ვიცნობდი და არც ის ვიცოდი, რომ ეს, ფაქტობრივად, არალეგალური საღამო, ძირითადად, მისი მოწყობილი იყო.

ყველაზე მკაფიოდ კი იმ საღამოდან **აკაკი ბაქრაძის** ეს ფრაზა დამამახსოვრდა: „იმ დროს, როცა მეცნიერებათა აკადემია ჩიტირეკიებით გაივსო, პავლე ინგოროყვასთვის იქ ადგილი ვერ მოიძებნა.“

* * *

წლების შემდეგ ბატონ **თამაზ ჩხენკელს** ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემაზე ვესაუბრები.

კითხვა: ბატონო თამაზ, გასაგებია, რას ამტკიცებს ივანე ჯავახიშვილი, რას — რამაზ პატარიძე. № (ცნობილზე ცნობილ აკადემიკოსს ვუსახელებ) რას ამტკიცებს?

პასუხი: ეგ არაფერს არ ამტკიცებს.

სხვათა შორის, იმავე აკადემიკოსზე ერთხელ **ბაჩანა ბრეგვაძეს** ვკითხე: „ვეფხისტყაოსანი“კარგად იცის?

პასუხი: საერთოდ არ იცის.

* * *

ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემა იმდენად რთულია, რომ „არაერთი ზედ მიემსხვრა გემი“.

მხოლოდ დიდმა და ძლიერმა ხომალდებმა გაუძლეს.

შესაძლოა, ერთ ადგილას ხანგრძლივად დგომა მოუხდათ, მაგრამ, რაც მთავარია, დამსხვრევას გადაურჩნენ და უკვე ისევ ადგილიდან დაძვრა დაიწყეს.

ერთ-ერთ ხომალდს პავლე ინგოროყვა ჰქვია.

ამ ხომალდის საჭესთან დღეს სამი მეცნიერი დგას: **როსტომ ჩხეიძე, მარიამ ნინიძე** და **ლადო ჭელიძე**.

კაპიტანი, რა თქმა უნდა, როსტომია.

ვინც პავლე ინგოროყვას დაკრძალვის დღეს ქაშვეთის ზარების დარისხებას არ შეუშინდა, კაპიტნობაშიც ვერავინ შეეცილება.

**„როდესაც სამგლოვიარო პროცესია ძვირფასი ნეშთით მიუახლოვდა ქაშვეთის ეკლესიას, უცბად აწკრიალდა ქაშვეთის ზარები. სამრეკლოზე ხელაპყრობილი ჭაბუკი ღმერთს ავედრებდა განსვენებულის სულს და თავგამეტებით რეკდა ზარებს... ერთგულნი დარაჯები სისტემისა, მაშინ სისტემა ჯერ კიდევ ძალმოსილი იყო, გაექანნენ ქაშვეთის ეკლესიისაკენ, რათა გაებაწრათ ეს „მკრეხელი“.,მაგრამ ჭაბუკი მისგან მოულოდნელი სპორტული ილეთით თავს გადაევლო ღობეს და გაუჩინარდა, ხოლო შემდეგ ვითარცა ჭეშმარიტი ჭირისუფალი, თავს ედგა სასაფლაოზე დასვენებულ ბატონ პავლეს ცხედარს“(რ. ბარამიძე)...**



* * *

რას ამბობს ქართული ანბანის წარმოშობაზე პავლე ინგოროყვა? — ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავეცნოთ პატარა წიგნს, რომელიც დიდ სათქმელს იტევს.

პავლე ინგოროყვა. „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა (პირველი საუკუნე ახალი წელთაღრიცხვისა)“ — ეს წიგნის ღერძია, მაგრამ მცირე ფორმატის ასგვერდიანი კრებული კიდევ ბევრს მოიცავს: აქვეა როსტომ ჩხეიძის შესავალი („სენსაციური აღმოჩენის კვალზე“), მარიამ ნინიძისა და ლადო ჭელიძის გამოკვლევა („ქართული დამწერლობის მოდელი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ქართული წარწერები“), **ნინო დეკანოიძის** რეპორტაჟი („ერთი შეხვედრა დიდი გაკვეთილიდან“), ლადო ჭელიძის სტატია („საიდან დავიწყოთ?“).

ამ წიგნს, ამ აღმოჩენას გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ უკვე ორი პუბლიკაცია მიუძღვნა.

ღმერთი სამობითაა, თუმცა, რაკი ეს უმნიშვნელოვანესი ეროვნული საკითხი, ესოდენ პოპულარულ პორნოვიდეოთა ფონზე, სხვას არავის აინტერესებს, ხსენებულ გაზეთს, ალბათ, კიდევ ბევრჯერ მოუწევს მისთვის ადგილის დათმობა.

და ვინ იცის, გაზაფხული ერთი მერცხლის ჭიკჭიკმაც მოიყვანოს...

თავის დროზე, პავლე ინგოროყვაც ხომ, არსებითად, მარტოკაცი ეჭიდებოდა ურთულეს პრობლემას.

მარტოკაცი და თანაც, არაერთგზის შერისხული...

* * *

და მაინც, ყველასათვის გასაგებად რას გვეუბნება პავლე ინგოროყვა?

მოვუსმინოთ ლადო ჭელიძეს:

**„1940 წლის ნოემბერში არმაზის საპიტიახშო ნეკროპოლში აღმოჩნდა ვერცხლის ლანგარი და გამარჯვების სტელა...**

**ლანგრის ფსკერის შუაგულ ადგილას, წრით შემოვლებულ არეში, მოჩანს ორი ნიშანი ...**

**ცნობილი მეცნიერი პავლე ინგოროყვა თავის მეტად საყურადღებო გამოკვლევაში „ქართული დამწერლობა ანტიკური ხანისა“(ენიმკის მოამბე X 1941წ. ეს შრომა გადმობეჭდილია მეცნიერის თხზულებათა IV ტომში) განიხილავს ამ ნიშნებს პალეოგრაფიული თვალსაზრისით და მათ ასოებად მიიჩნევს, „რომლებიც აღნიშნავს ლანგრის პატრონის ინიციალებს“. მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლანგრის ეს მეორე წარწერა შესრულებულია ტიპური მოხაზულობის ქართული ასომთავრული დამწერლობით... საჭიროა, ჯეროვანი ყურადღებით მოვეპყრათ ამ მოსაზრებას და მაშინ შესაძლებელი გახდება , ქართული დამწერლობის რეალური ისტორია დავიწყოთ არა პალესტინის წარწერით ( Vს.-ის I ნახევარი), არამედ ჩვ. წ.-ის I საუკუნიდან, რომლის დამადასტურებელი ეპიგრაფიკული ძეგლები სახეზე ჩანს.“**

ამას ლადო ჭელიძე აღმოჩენიდან თითქმის ორმოცი წლის შემდეგ დაწერს.

მანამდე რა ხდებოდა?

აქ უკვე როსტომ ჩხეიძეს უნდა მოვუსმინოთ:

**„სხვა დროსა და სხვა ქვეყანაში ასეთ აღმოჩენას სენსაციური დაერქმეოდა და შესაბამისი გამოძახილიც მოჰყვებოდა — სახალხოც და სამთავრობოც, ფარზე რომ აზიდავდნენ და მთელი მსოფლიოს წინაშე მოიწონებდნენ თავს.**

**არ იქნებოდა თავმოსაწონებელი თუ რა!**

**და მეცნიერსაც საკადრის პატივს მიაგებდნენ.**

**მაგრამ 1941 წელს...**

**მაგრამ რუსეთის წითელი იმპერიის სამხრეთ პროვინციად გადაქცეულ საქართველოში...**

**მიიკარგებოდა „ენიმკის მოამბის“ ის მე-10 ნომერი... მიიჩქმალებოდა...**

**და ლამის სამუდამოდაც...“**

**მადლობა ღმერთს, არა სამუდამოდ.**

ამას ეს მოცულობით მცირე, მაგრამ მნიშვნელობით დიდი წიგნი გვიდასტურებს.

* * *

და რა უნდა, რა ამოძრავებს ამ წიგნის გამომცემელს — როსტომ ჩხეიძეს?

75 წელი გასულა პავლე ინგოროყვას სენსაციური აღმოჩენიდან.

ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი: დიდი მეცნიერის პოზიციის გასამაგრებლად, მისი მიგნების თვალნათლივ და ხელშესახებ დასტურად, 75 წლის შემდეგ, ჩვენს წინაშე გადახსნილა გრაკლიანის სამაროვანი, რომლისთვისაც ჯერჯერობით ისევე მიუყრიათ მიწა, როგორც თავის დროზე, ინგოროყვას აღმოჩენისთვის.

როსტომ ჩხეიძის მთავარი სათქმელიც ეს არის:

**„ერთმანეთისაკენ მიილტვის ეს ორი ძეგლი.:**

**გრაკლიანის იეროგლიფური წარწერა და არმაზული ასომთავრული.**

**და ნუღა გადავდებთ მათ შეკავშირებასა და ერთობლივად გატანას საერთაშორისო ასპარეზზეც...**

**დამარხვა არ აკლია არც ერთსა და არც მეორეს.**

**და დაე, დადგეს, ბოლოს და ბოლოს, ჟამი მათი ჯეროვანი გაბრწყინებისაც.“**

* * *

და ვინ უნდა იზრუნოს ჯეროვან გაბრწყინებაზე? — რა თქმა უნდა, იმ აკადემიამ, რომელმაც თავის დროზე პავლე ინგოროყვა ახლოსაც არ გაიკარა და ახლა ცოდვის გამოსყიდვის შანსი ეძლევა.

რა თქმა უნდა, ჯეროვან გაბრწყინებაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ — მეცნიერებისა და განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებმა...

* * *

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი“ — ლამის გვეჩხუბებოდა ილია ჭავჭავაძე.

„ძმავ ინგოროყუ, პოეტო ადრე და მერე დარდო წარსულ დიდების“ — ეფერებოდა პაოლო იაშვილი ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ილიელს.

ეს იყო, ალბათ, ერთადერთი საკითხი, სადაც პავლე ინგოროყვა ილია ჭავჭავაძეს არ უჯერებდა.



ზოგჯერ შეიძლება, თვით ილიასაც არ დაუჯერო.

ოღონდ, თუ პავლე ინგოროყვა ხარ...

**იოსებ ჭუმბურიძე**

---

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 29 თებერვლის №1-1/95 ბრძანების შესაბამისად:**

2009 წლის 29 ოქტომბერს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება (სპეციალური ოპერაციები) — საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა — პროექტი I (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 17 ნოემბრის №2087-IIს დადგენილებით). აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელი უწყების — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტის ფარგლებში (კმ12+400-კმ31+259), დამუშავდა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დამტკიცდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP III).

ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული ზოგიერთი უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან. საკუთრების გამოსყიდვის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ზოლში ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში, გოგებაშვილის №26 ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების მესაკუთრე **ირაკლი ჯაყელიძესთან** (საკადასტრო კოდი №20.48.06.026 საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 293 კვ.მ-ნი ნაწილი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები).

ქონების ნებაყოფლობითი გამოსყიდვის შესახებ წარმოებული მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით (LARP III) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ.

ამავე შეტყობინებით მესაკუთრე ინფორმირებულ იქნა, რომ მისი უარის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მისი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. შესაბამისად, თანხმობის მიუღწევლობის გამო, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, 2016 წლის 29 თებერვალს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/95 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“,** რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2016 წლის 7 მარტს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიაციის უფლება პროექტისათვის საჭირო ფართებზე.

ექსპროპრიაციის უფლება უნდა გავრცელდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 29 თებერვლის №1-1/95 ბრძანებით განსაზღვრულ შემდეგი მესაკუთრის ქონებაზე:

**ირაკლი ჯაყელიძის** (პ/ნ 61004027399) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე — საკადასტრო კოდი **№20.48.06.026,** საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 293 კვ.მ ნაწილი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

# შვილების აღზრდა და კვლავ სხვისი მოიმედეობის განწყობა...

**უკვე მეოთხედი საუკუნე სრულდება, რაც დამოუკიდებლობა აღვიდგინეთ, მაგრამ წინ ძალზე ნელი ტემპებით მივიწევთ, ზოგიერთ სფეროში კი უკანსვლაც შეიმჩნევა.**

**ჩემი აზრით, ამის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი არის შვილების აღზრდის თანამედროვე ქართული სისტემა, რასთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული სხვისი მოიმედეობის განწყობა საქართველოში.**

როგორ ზრდიდნენ შვილებს ადრე საქართველოში და როგორ ვზრდით ახლა?

ოდითგანვე საქართველოში ზნეობრივ აღზრდასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა პრაგმატული ხასიათის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ეს იყო ფიზიკური შრომის უნარის განვითარება, ხვნა-თესვის, მოსავლის მოყვანა-აღება-დაბინავების შესწავლა, საომარი წვრთნა-საბრძოლო ხელოვნების, თავდაცვა-თავდასხმის ცოდნის სისტემის ათვისება, მთებისა და ბარის თავისებურებების ცოდნა, ჭირში და ლხინში ქცევის წესები, უფროს-უმცროსობის ცოდნა, ზრდილობის ნორმები, ხელსაქმე, ჭამა-სმის ელემენტარული წესები, ქალთან ურთიერთობის კულტურა, შვილებისადმი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოპყრობა. ყველამ იცოდა, რომ გაჭირვების დროს საკუთარი მეფის გარდა, არავის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ყოველივე ზემოჩამოთვლილი ადამიანში, ყველა ქართველში თუ აქ მცხოვრებ უცხოტომელებში აღვივებდა საკუთარი თავის იმედს და პიროვნება ბავშვობიდანვე დამოუკიდებლობას ეჩვეოდა, რთული ცხოვრებისათვის მზად იყო და ამას ხელს უწყობდა მისი ადრე ქორწინებაც.

ვიდრე საქართველო მტრების გამუდმებული შეტევების ქვეშ იყო, ეს სისტემა გამართულად მუშაობდა, ხალხი შრომობდა და ომობდა, კულტურას ქმნიდა და ქვეყნის დაცვასაც ახერხებდა. ასევე მალე ხდებოდა მტრისგან დაქცეულის და აოხრებულის აღდგენა. მაგ: დაახლოებით გამოთვლილია, რომ თბილისი 35-ჯერ დავკარგეთ და დავიბრუნეთ, ომებში მიყენებული დიდი ზარალის აღდგენა სწრაფადვე ხდებოდა, მაშინ, როცა 1992-93 წლებში აფხაზეთის ომში მიყენებული ზარალი დღემდე ვერ მოგვინელებია და უკან დაბრუნებაც ვერ მოგვიხერხებია...

გოგონები 13-14 წლის, ბიჭები კი 15-16 წლის ასაკიდან ცხოვრებისთვის და დამოუკიდებლობისათვის ძირითადად მომზადებული იყვნენ და ამ დროიდან ხშირად ოჯახდებოდნენ კიდეც.

მრავალშვილიანობაც ქართული ცხოვრების წესის აუცილებელი კომპონენტი იყო. მშობლებმა იცოდნენ, რომ ავადმყოფობის, ცხოვრების სიმკაცრისა და ომების გამო 10-დან 5-6 შვილი შეიძლება დაეკარგათ და ამას იძულებით ეგუებოდნენ — ქვეყანას დამცველიც სჭირდებოდა და მშრომელიც, რომელიც დაქცეულს აღადგენდა და ერს გაამრავლებდა. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო აღზრდის უნაკლო სისტემა, თუმცა იყო სრულიად ადეკვატური იმისა, რაც მაშინ ქვეყანას სჭირდებოდა.

როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო და ფაქტიურად აღიკვეთა თურქულ-ირანული და ლეკური შემოჭრის საფრთხე, ქვეყანას თავდაცვის ფუნქცია ჯერ მოუდუნდა და მერე მოეშალა კიდეც და მან სხვისი დაცვის და რჩენის იმედით იწყო ცხოვრება. ეს სხვა კი რუსი იყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ კანონებს, თავისუფლების დაკარგვას, რუსულ რეპრესიებს ქართველები ვერ ეგუებოდნენ და რუსი არ უნდოდათ, თურქეთ-ირანისაგან დამცველი რუსული ჯარის იმედი მაინც ჰქონდათ და რუსის ჯარის გაყვანას თითქმის არავინ ითხოვდა (ამას ადასტურებს ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში „ჩემი წარსული", როცა აღწერს მაშინდელი გურიის და მთლიანობაში საქართველოს ყოფას.) ამან ათქმევინა ნიკო ნიკოლაძეს საოცარი და მწარე ირონიით გამსჭვალული სიტყვები, რომ „ჩვენს საზოგადოებაში ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ერთს მშვენიერ დღეს ზეციდან ჩამოგვიფრინდება ისე, რომ ჩვენ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის. ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომითა და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს და არც მთელ საზოგადოებას...

სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება".

კიდევ უფრო მკაცრად ამუნათებდა მაშინდელ ქართველ საზოგადოებას არჩილ ჯორჯაძე: „ქართველი საზოგადოების სახით", — წერდა იგი, — საქმე გვაქვს „ავადმყოფ საზოგადოებასთან". ჩვენი საზოგადოება მომხმარებლური გახდა. მათ არაფერი აინტერესებთ პირადი ცხოვრების მოწყობისა და სენსაციების გარდა. ქვეყნის სატკივარზე ფიქრისათვის არ სცალიათ. სამაგიეროდ თვალი ველო, იპო და აეროდრომებისაკენ უჭირავთ. ქართველები მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობენ — როგორ გაზარდონ საკუთარი შვილები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყვნენ კარგი ცხოვრებით, მთავრობის სამსახურით და ჯილდოებით... ეროვნული საქმე... მივიწყებულია, მისდამი ინტერესი დაკარგულია... ყველას უნდა ცხოვრების სუფრაზე უდარდელად წამოსკუპება... დაღონებული და დასევდიანებული ვგრძნობთ, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, ნამდვილი საქმე არაა და ის, რითაც ვცხოვრობთ, აზრს და მიზანს მოკლებულია... ყველას მაღალი თანამდებობა, დიპლომი, ჩინი, სამსახური გინდათ მაშინ, როცა საჭიროა პატიოსანი, ბეჯითი, მხნე, უბრალო მუშაკი, შემოქმედი ქვეყნის სიმდიდრისა, ახალი კულტურის გამავრცელებელი, ცხოვრების გამაუმჯობესებელი".

რუსეთის მიერ დამონებული ერი სხვისი მოიმედე და ხელის შემყურე გახდა. შესაბამისად, ამ ყაიდაზე გადაეწყო შვილების აღზრდის სისტემაც, როგორც ეს არჩილ ჯორჯაძის ციტატიდან ჩანს. ეროვნული იდეალების შესუსტებამ ერში კერძო ეგოიზმის ზრდას შეუწყო ხელი (როგორც ჭაბუა ამირეჯიბი წერს „დათა თუთაშხიაში" — „ერი საძოვარზე მიშვებულ ნახირს დაემსგავსა", — შეიცვალა იდეალები და პრინციპები. ადრე არსებულ „ჯერ ქვეყანას და მერე მე, თუ რამე დარჩება" პრინციპს დაუპირისპირდა პიროვნული ეგოიზმის და დაბალი შეგნების მიმანიშნებელი პრინციპი — „ჯერ მე და ჩემს ოჯახს და თუ რამე მორჩება, მერე — საქართველოსაც").

თუ ადრე შვილების აღზრდას საფუძვლად ედო პატრიოტული მოტივი, XIX საუკუნიდან იგი შეცვალა პირადი კეთილდღეობის პრინციპმა, რომელშიც სამშობლოს და მამულს ფაქტიურად ადგილი აღარ რჩებოდა.

თავისუფლება და დამოუკიდებლობადაკარგული ქართველები გათითოკაცდნენ, პასიურები და ეგოისტურები, ნიჰილისტები და სხვის ხელის შემყურენი გახდნენ, სხვა დაისახეს უდიდეს ავტორიტეტად და მხსნელად. სწორედ ამას აკრიტიკებდა ილია თავისი ცნობილი გამონათქვამით: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის, თითოში ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თითოეულისათვის, საცა „მე" ხშირია და „ჩვენ" — იშვიათი... ყველამ ერთად და თითოელმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე".

უმეტესწილად სწორედ XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი იმ მახინჯ მოვლენას, რასაც ჰქვია უნიჭო, დაბალგანათლებული და უზნეო ადამიანების წინა პლანზე წამოწევა პროტექციის, ნაცნობობის, ნათესაობის, ძმაკაცობისა და სხვათა საბაბით ნებისმიერ სფეროში, რაც დღემდე გრძელდება და სტიმულს და ცხოვრების იმედს უკლავს ნიჭიერ ადამიანებს.

ასეთ ერში ადვილად იკიდებს ფეხს კოსმოპოლიტიზმი და სხვადასხვა იზმები „თუ ადამიანთა რწმენა ეროვნული არ არის, თუკი ეროვნული მუსიკა მათ არ აღაფრთოვანებს, თუ ისტორია თავმოყვარეობას არ უღვიძებს, თუ ეროვნული ინდივიდუალობის დაცვა ვალად არ მიაჩნია და არ შესწირავს თავს მის სიკვდილისაგან ხსნასა, მას არც სამშობლოს წარმოდგენა აქვს და არც გრძნობა პატრიოტიზმისა" (მიხაკო წერეთელი).

თერგდალეულების დიდმა მცდელობამ და თავდადებამ მხოლოდ ნაწილობრივ გამოიღო შედეგი. იგივე ძველი იდეალებით, რომელიც კომუნისტურ ყაიდაზე იყო შეფუთული, გააგრძელა ქართველობამ ცხოვრება და შვილების აღზრდა ბოლშევიკების (კომუნისტების) ხანაში და მათ დროს ეს სისტემა კიდევ უფრო დამახინჯდა და უზნეო ელემენტებით შეივსო.

დღევანდელი ქართველი ახალგაზრდების (15-30 წელი) უმრავლესობა კვლავ მშობლების ხელის შემყურეა, ძირითადად კომპიუტერული თამაშებით, გართობით, ნაწილობრივ ნარკომანითაა დაკავებული, უპასუხისმგებლოა, გულცივია, არ ესმით ოჯახის და ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები, ძირითადად დროსტარებითაა დაკავებული და ფაქტიურად არაფერ ღირებულს არ ქმნიან. ამ ყველაფერში ძირითადი დამნაშავენი არიან მათი მშობლები და ნაწილობრივ საზოგადოებაც.

როცა მშობლები აღარ ეყოლებათ, მერე სახელმწიფოს იმედზე არიან ან თუ მისი იმედიც დაკარგეს, აშშ-ის, ევროკავშირის, ამერიკის ან რუსეთის. არადა ჯერ კიდევ როდის გვეუბნეოდა ნიკო ნიკოლაძე, რომ „მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენ ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიშრომოთ — მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარეც... კერძო პირსაც, საზოგადოებასაც, ერსაც თავისი ცხოვრება, ბედი და იმედი მარტო საკუთარ შრომაზედ და ღონეზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული; მარტო ეს საძირკველია შეურყეველი, მარტო მასზე შენდება მტკიცედ საკუთარი შენაძენიც და სხვისი დანახმარიც".

დიდი უბედურებაა ისიც, რომ ყოველი მშობელი დღესაც ვალდებულად თვლის, რომ თავისი უნიჭო (ან ნაკლებნიჭიერი) შვილი როგორმე პრესტიჟულ სასწავლებელში და მერე კარგ სამსახურში მოაწყოს და ამით ცხოვრების საგზური წაართვას უპატრონო, ღარიბ, მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ნიჭიერები ყველას „მოსწონს", მაგრამ მათ არავინ ეხმარება. სწორედ უპერსპექტივობის განცდა აძლიერებს ახალგაზრდებში სუიციდისაკენ მიდრეკილებას, ნარკომანიისკენ მისწრაფებას, უიმედობას.

თუ ქვეყნისათვის და შვილებისთვის სიკეთე გვინდა, ბავშვები თავიდანვე მივაჩვიოთ დამოუკიდებლობას, ცხოვრების სირთულეებს, გადაწყვეტილებების მიღებას, მკაცრ რეალობას, ოცნების ახდენისთვის საკუთარ ძალისხმევას, ნიჭიერების პატივისცემას, ფიზიკურ შრომას, პრაქტიკულ მოღვაწეობას, თავისუფლებას, ქვეყნისთვის რაღაცის მსხვერპლად გაღებას.

ათჯერ მეტი თანხები უნდა ჩავდოთ განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში, რათა ნიჭიერმა ქართველებმა ორჯერ მეტი იცოდნენ, ვიდრე მათმა ამერიკელმა, გერმანელმა, ჩინელმა, რუსმა თანატოლებმა.

ეს არის ჩვენი გადარჩენის ყველაზე რეალური შანსი, შვილების დამოუკიდებლად აღზრდასთან ერთად, თანამედროვე გლობალურ და დაუნდობელ მსოფლიოში.

**ვაჟა შუბითიძე**



**ჩვენი საზოგადოება მომხმარებლური გახდა. მათ არაფერი აინტერესებთ პირადი ცხოვრების მოწყობისა და სენსაციების გარდა.**

**არჩილ ჯორჯაძე.**

**ინფორმაცია**

## მსოფლიო პოეზიის დღე თბილისის ბიბლიოთეკებში



**თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით, დედაქალაქის მუნიციპალურ ბიბლიოთეკებში მსოფლიო პოეზიის დღე აღინიშნა. ღონისძიება მირზა გელოვანის სახელობის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა და მას საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი, ამავე კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზაქარია კოლელიშვილი და მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ია მაქაცარია დაესწრნენ.**

**ღონისძიების ფარგლებში, მირზა გელოვანის სახელობის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში დაცულ მსოფლიო ხალხთა ენებზე გამოცემულ პოეტურ ნაკრებთა გამოფენა მოეწყო, ხოლო ქართველმა პოეტებმა და მსახიობებმა საკუთარი და მსოფლიო პოეზიის ნაწარმოებები წაიკითხეს. საღამო მუსიკალურად კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის მე-7 მუნიციპალური ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა გააფორმეს. მირზა გელოვანის სახელობის მუნიციპალური ბიბლიოთეკა 81 ათაზე მეტ წიგნად ფონდს აერთიანებს, სადაც გამოცემები მსოფლიოს ყველა ენაზეა წარმოდგენილი.**

◉ საერთო ღირებულებები

# რას გვირჩევენ უცხოელები რუსული ზეწოლისგან დასაცავად



**რუსეთის** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შეცვლასთან დაკავშირებით ამერიკის ყოფილი ელჩი ნატოში კურტ ვოლკერი სინამდვილის დამახინჯებულად წარმოდგენად აფასებს.

ამის შესახებ ვოლკერი „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.

**— უწინარესად, ვიტყვი, რომ რუსები სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს უწყვეტად აკრიტიკებდნენ. ახლანდელმა მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის. მაგრამ თუ ისინი საქართველოს ამაზეც საყვედურობენ, მაშინ ვფიქრობ, კრემლი კმაყოფილი არასოდეს იქნება,** — აცხადებს ვოლკერი.

ყოფილი ელჩი მეორე ფაქტორად იმას ასახელებს, რომ რუსეთი იმას არ აქცევს ყურადღებას, თუ რატომ შეიძლება იზრდებოდეს საქართველოში მოსკოვის მიმართ უკმაყოფილება.

**შეიძლება იმიტომ, რომ ისინი საქართველოს ოკუპაციას აგრძელებენ, ან შეიძლება იმიტომ, რომ ახლახან განაცხადეს, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას ჯერ არ ამტკიცებენო,** — დასძენს ყოფილი ელჩი.

ვოლკერს მიაჩნია, რომ რუსი პოლიტიკოსები, როგორც წესი, განცხადებებს იმისთვის აკეთებენ, რომ პროცესებზე ან ადამიანებზე გავლენა მოახდინონ და მათ მოქმედების შეცვლა აიძულონ.

**— ყოველთვის შეცდომაა რუსი ოფიციალური პირების და დიპლომატების მოსმენა და იმის ფიქრი, რომ ისინი სიმართლეს გეტყვიან. ამ შემთხვევაში, რუსების მიზანი საქართველოზე ზეგავლენის მოხდენაა — რომ მთავრობა აიძულონ, რუსეთთან უფრო მეტად დამთმობი იყოს. ეს საშიში მდგომარეობაა. სამწუხაროდ, რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც მეზობლებზე ასეთ ზეწოლას ახორციელებს,** — აცხადებს ვოლკერი.

„ამერიკის ხმა“ წერს, რომ კარასინის განცხადებას საქართველოს ოფიციალური წრეების მხრიდან მყისიერი უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. პოლიტიკოსებმა მოსკოვის მხრიდან საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობა დაგმეს.

ვოლკერი ამბობს, რომ ოკუპაციასთან შედარებით რუსეთის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი უმნიშვნელოა. მისი თქმით, **„რუსეთს აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთში მარიონეტული მთავრობები და ათასობით ჯარისკაცი ჰყავს განლაგებული. შიდა საქმეებში ჩარევა სწორედ ეს არის!“**

ვოლკერი ამბობს, რომ „აბაშიძე-კარასინის ფორმატის“ დიალოგის შენარჩუნება აუცილებელია ერთი ფაქტორის გათვალისწინებით:

**— ჩემი აზრით, ეს დიალოგი გაგრძელდება და უნდა გაგრძელდეს კიდეც. კონტაქტის შენარჩუნების იდეა ყოველთვის კარგია, რადგან ამ მეთოდით სიტუაციის განმუხტვა მანამდეა შესაძლებელი, სანამ ვითარების ესკალაცია მოხდება,** — ამბობს ვოლკერი.

მისი თქმით, **რუსეთი მიზანმიმართულად აგრძელებს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ ქვეყნებად გამოცხადების პოლიტიკას და უარს ამბობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღიარებაზე. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ურთიერთობები კიდევ დიდხანს იქნება გაყინული. „სწორედ ამიტომ, დიალოგის შენარჩუნება მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ საქართველომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ დიალოგს“,** — დასძენს ის.

რუსეთის ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გასაწევად საქართველოს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა შეუძლია. მათგან ერთ-ერთი პარტნიორ ქვეყნებთან აქტიური კავშირების გაგრძელება და საქართველოს თემის საერთაშორისო ფორუმებზე უწყვეტად წამოჭრაა. ვოლკერი ამბობს, რომ საქართველოს კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია.

**— კრიტიკულად მნიშვნელოვანია მთავრობისა და ოპოზიციის მხრიდან ძირითად პრინციპებზე შეთანხმება და ამ თანხმობაზე საუბარი. მათ ერთმანეთის შიდა პოლიტიკა არ მოსწონთ, მაგრამ სინამდვილეში ბევრ რამეზე თანხმდებიან, მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის შექმნაზე, ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებაზე. ეს ის მნიშვნელოვანი თემებია, რომლებზეც პოლიტიკური ძალები თანხმდებიან და ამაში ქართველი ხალხის ფართო მხარდაჭერა აქვთ. საერთო ღირებულებებზე საუბარი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საქართველოს რუსული ზეწოლისგან დასაცავად,** — აცხადებს ვოლკერი.

### საგანგებო გზავნილი დიპლომატს

## რჩევისთვის გმადლობთ, კარასინ!

**მის მაღალაღმატებულებას, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ გრიგორი კარასინს**

**„შეცვალეთ, ნუღარ დარჩება**
**კანონი ოკუპაციის!“ —**
**რომ გვირჩევთ,**
**ვიღებთ ამ რჩევას**
**ალალად, განა დაცინვით!**
**ოღონდ., ბატონო კარასინ,**
**ზუსტად დავიცვათ ბალანსი,**
**თქვენც მოგვაშორეთ ბალასტი**
**ოკუპანტ დარდუბალასი!**

**ალექსანდრე შენგელია**



# დედამიწის ზურგზე



### აფეთქებების სერია ბრიუსელში: აეროპორტი ევაკუირებულია, მეტრო - დახურული, არის მსხვერპლი

აფეთქებები მოხდა ბრიუსელის აეროპორტში და ქალაქის მეტროს ერთ-ერთ სადგურში. ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან ათზე მეტი დაღუპულის შესახებ. სავარაუდოდ, აეროპორტში თავი თვითმკვლელმა აიფეთქა. ბელგიის ხელისუფლებამ მაქსიმალურ დონემდე გაზარდა ტერორისტული საფრთხე.

### აშშ-ის სენატორმა განაცხადა, რომ რუსული წყალქვეშა ნავები ემუქრებიან ნატოს არქტიკაში

„ჩვენ დავინახეთ რუსული ნავები, რომლებიც უახლოვდებოდნენ ჩვენს სუბმარინებსა და ჩვენი ევროპელი პარტნიორების სუბმარინებს უფრო ახლოს, ვიდრე ოდესმე ადრე“, — თქვა სენატორმა კრის მერფიმ. ამავე დროს, მისი სიტყვებით რუსმა სამხედროებმა გამოიყენეს ერთობ „პროვოკაციული“ ზომები, როგორებსაც იშვიათად იყენებდნენ ცივი ომის დროსაც კი.



### მალიში ბოევიკები თავს დაესხნენ ევროკავშირის მისიის სამხედრო ბაზას

როგორც თვითმხილველი საუბრობდა, შეიარაღებული ადამიანები თავს დაესხნენ სასტუმროს, რომელშიც განთავსებულია ევროკავშირის ბაზა მალის არმიის მომზადებისთვის. მოწმის სიტყვებით, ოთხი ბოევიკი ცდილობდა შეჭრილიყო შენობაში, მაგრამ დამცველებმა ცეცხლი გაუხსნეს მათ. შედეგად ერთ-ერთი თავდამსხმელი მოკლეს.

### პოლონეთმა შექმნა ახალი კომისია კატასტროფის გამოკვლევისათვის, რომელშიც ლეხ კაჩინსკი დაიღუპა

კომისია ჩამოაყალიბა პოლონეთის იუსტიციის სამინისტრომ. მასში შევლენ „გამოცდილი პროკურორები მთელი



ქვეყნიდან“, მას კი სათავეში ჩაუდგება გენერალური პროკურორის მოადგილე მარკ პასიონეკი. იუსტიციის მინისტრმა, პოლონეთის გენერალურმა პროკურორმა ზბიგნევ ზებრომ განმარტა, რომ სმოლენსკთან კატასტროფის ვითარების გამოკვლევა იქნება „მთლიანი“ და მოიცავს ყველა მასალას, რომლებიც არსებობს ტრაგედიასთან დაკავშირებით.

### ტრამპმა შესთავაზა, შეწყვიტონ სახსრების ხარჯვა უკრაინაზე და ეს გერმანიას დაუთმონ

მილიარდერის სიტყვებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დროა, თავი დაანებოს სხვა ქვეყნების პრობლემებს და ყურადღება გაამახვილოს საშინაო საქმეებზე. ტრამპმა ასევე გამოთქვა გაოცება, თუ სწორედ ვაშინგტონი რატომ უნდა მუშაობდეს უკრაინასთან დაკავშირებულ



სიტუაციაზე, თუმცა იგი ნატოს ყველა ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლებადაა ამით დაინტერესებული.

### „ხიზბულახმა“ ბრალი დასდო თურქეთსა და საუდის არაბეთს მცდელობაში - ჩაშალონ სირიის მოლაპარაკებანი

მოძრაობის ლიდერის აზრით, საუდის არაბეთისთვის არ არის ხელსაყრელი სირიაში ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეების შერიგება, ამიტომ იგი გააგრძელებს წინააღმდეგობას პროცესთან დაკავშირებით, როგორც მინიმუმი, პრეზიდენტის არჩევნებამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჰასან ნასრალამ ასევე აღნიშნა, რომ კონფლიქტში დაინტერესებულია თურქეთიც.

### კასტრომ ობამასგან მოითხოვა, შეწყვიტოს კუბის ბლოკადა და დაუბრუნონ გუანტანამო

ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუბის ლიდერებმა მოაწყვეს პრესკონფერენცია, რომლის დროსაც განიხილეს ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოებანი. კუბის პრეტენზიები არის ამერიკის ხელისუფლების მცდელობასთან დაკავშირებით — მოახდინონ ზემოქმედება კუნძულის მოსახლეობაზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფაქტობრივად მოახდინა გუანტანამოს ტერიტორიის ოკუპაცია. ობამამ კი კასტროსგან მოითხოვა, დაიცვან ადამიანის უფლებები.



ტრადიცია და თანამედროვეობა

# კავკასიელი ქალის ბედნიერება

**ჩრდილოეთ კავკასიის მასშტაბით ყველაზე ელიტური და თავისუფალი ქალბატონები ყაბარდო-ბალყარეთში ცხოვრობენ, თუმცა ეს ხელს არ უშლის ახალგაზრდა თაობას, მრავალცოლიანობას მიესალმებოდეს. ძალადობის ყველაზე ხშირი შემთხვევები ჩეჩნეთში ფიქსირდება.**

**რის შესახებ ოცნებობენ ჩრდილოეთ კავკასიელი ქალბატონები? როგორ ყალიბდება სამართლებრივი სისტემების იერარქიები? მორალისა და ამორალურობის, ადათების, ისლამისა და კანონის შესახებ რადიო „თავისუფლების“ პრაღის ბიურო მოსკოვში ჰაინრიხ ბიოლის ფონდის პროგრამის „გენდერული დემოკრატია“ კოორდინატორს, გენდერულ საკითხთა ექსპერტ ირინა კოსტერინას ესაუბრა.**

როგორც ექსპერტი ამბობს, ყაბარდო-ბალყარეთი საბჭოთა დროსაც კი ყველაზე მოდერნიზებული რესპუბლიკა იყო და მისი მკვიდრი ქალბატონები ცხოვრების წესითა და სტატუსით მცირედით თუ განსხვავდებოდნენ რუსეთის სხვა რეგიონებში მცხოვრებთაგან.

**— დაღესტანსა და ინგუშეთში ძირითადში სწორედ რელიგია განსაზღვრავს ფასეულობებს, ქცევას, ცხოვრების წესს და, რა თქმა უნდა, ქალების მდგომარეობასაც. ყაბარდო-ბალყარეთში მსგავსი რამ ბოლო დრომდე**



**არ ყოფილა, იქ რელიგიის ზეგავლენა ესოდენ მნიშვნელოვანი არ იყო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერო კანონებს— როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები, ცხოვრების რა წესს მისდევდნენ. ბოლო დროს სიტუაცია შეიცვალა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში მომძლავრდა რელიგიის გავლენა და ახალგაზრდა ქალები ისლამის წესებით ცხოვრებას ცდილობენ, თუმცა ჩეჩნეთთან, დაღესტანსა და ინგუშეთთან შედარებით, ყაბარდო-ბალყარეთში ტრადიციებისა და რელიგიის ზეგავლენა მაინც შედარებით სუსტია,** — ამბობს კოსტერინა.

ექსპერტის მონაცემებით, **ყაბარდო-ბალყარეთში გამოკითხული ახალგაზრდა ქალბატონების 36% ამბობს, რომ მათს მეუღლეებს მეორე ცოლები ჰყავთ, ან თავად არიან მეორე ცოლები.** ამასთან, მისივე თქმით, ოთხივე გამოკვლეულ ჩრდილოეთ კავკასიურ რესპუბლიკაში ძალზე დაბალია უფლებადამცველი ორგანიზაციებისადმი მიმართვიანობა:

ოჯახური ძალადობის კუთხით კი, როგორც კვლევამ აჩვენა, ყველაზე „მძიმე“ რეგიონი ჩეჩნეთია.

**— ფაქტობრივად, ისლამში არ არის არანაირი ნორმა, რომლის თანახმად, ქალებს ცალსახად დაქვემდებარებული მდგომარეობა აქვთ, მით უფრო არ არსებობს მათ მიმართ ძალადობის ერთმნიშვნელოვლად დამშვები არანაირი ნორმა. ამასთან, ისლამში ძალიან ბევრი ისეთი მუხლია, რომელიც ქალს იცავს. თუმცა ადგილობრივი მამაკაცები ცნებებით მანიპულირებენ. ზოგიერთ მათგანს, სხვათა შორის, არ წაუკითხვას ყურანი, თუმცა მუდმივად აპელირებს მასზე. ეს ყველაფერი ძალიან რთულია, რადგან არა მარტო რელიგია და ტრადიციები, არამედ ზოგადად ადგილობრივი საზოგადოების მოწყობა, მისი ამჟამინდელი მდგომარეობა, განსაკუთრებით ჩეჩნეთში (რომელსაც ისეთი ფიგურა ხელმძღვანელობს, როგორიც რამზან კადიროვია), ესოდენ მძიმეა არა მარტო ქალების, არამედ მამაკაცებისთვისაც. რა თქმა უნდა, ესეც ასვამს საკუთარ დაღს და ექოდ ვრცელდება სხვა რესპუბლიკებზეც. თუ ვისაუბრებთ სამ სისტემაზე — რელიგიურ ნორმებზე, ტრადიციებსა და დაწერილ კანონზე, პირველ ადგილზე ადგილობრივი ტრადიციებია. თუ იქმნება რაღაც პრობლემა, რაღაც კონფლიქტი, მისი გადაწყვეტის მიზნით უხუცესებს აკითხავენ, ან უბრალოდ ტრადიციებზე აპელირებენ — ჩვენთან ასეა მიღებულიო. მაგრამ ყველაფერი ძალზე სენსიტიურადაა, რადგან თუ ახალგაზრდა ქალს პრობლემები აქვს რეპუტაციის კუთხით, ვიღაცამ რაღაც ცუდი თქვა მასზე, მაშინ მამამისს ან ძმას უფლება ეძლევათ, იგი მოკლან „სირცხვილის ჩამოსარეცხად“. ბევრი რამ სხვა ფაქტორებზეცაა დამოკიდებული — დედის ქცევაზე, მაგალითად, იმაზე, დაიცავს თუ არა იგი შვილს. თუ ახალგაზრდა ქალზე რაღაც ცუდს ამბობენ და ის, მაგალითად, ძლიერი კლანის წარმომადგენელია, მაშინ პრინციპში, საქმე შეიძლება, ჩაიფარცხოს. გამოდის, რომ ადგილობრივი ტრადიციები პირველ ადგილზეა, უკვე მერეა რელიგია, ხოლო რუსეთის კანონმდებლობას მხოლოდ „საგანგებო შემთხვევებში“ მიმართავენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ უკვე არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც „ღირსების მკვლელობები“ და ძალადობა სასამართლომდე მივიდა და გამოიტანეს განაჩენები მოძალადეთა მიმართ, ანუ, პრინციპში, რუსული კანონები მუშაობს, ოღონდ საჭიროა, ძალიან მოინდომონ მათი გამოყენება და ოჯახი საკმარისად მამაცი უნდა იყოს, რომ გაიაროს მთელი ეს ციკლი, მიაღწიოს სამართლიანობას, რადგან მას ხშირად ემუქრებიან, რათა ამ საქმეს თავი დაანებოს,** — ამბობს ექსპერტი.

მისივე ინფორმაციით, ბოლო პერიოდში ქალების მიერ მეუღლეებთან გაყრის ინიცირების შემთხვევები გახშირდა:

**— ადრე ყოველთვის იყო სწორება პრინციპზე „ითმინე ბოლომდე“. მაგალითად, ჩეჩნეთში არსებობს მუსლიმების სასულიერო სამმართველო, რომელშიც მოქმედებს ოჯახური კონფლიქტების თემატიკაზე მომუშავე კომისია. ისინი ისლამის წესებით ცდილობენ ოჯახური კონფლიქტების მოგვარებას, მაგრამ ხშირად ქალები მაინც ახდენენ გაყრის ინიცირებას. სხვა საქმეა, რომ ისინი ამაზე მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციებში მიდიან, როდესაც ძლიერ ძალადობასა და იძულებაზეა საუბარი. რა თქმა უნდა, უფრო მარტივია გაყრა, როცა ოჯახში ბავშვები არ არიან — ასეთ შემთხვევებში ქალი, რომელმაც გარკვეული დრო იცხოვრა მეუღლესთან ცემის, იძულებისა და დამცირების პირობებში, ბრუნდება მშობლებთან. თუმცა აქაც იწყება პრობლემები, რადგან ამ საზოგადოებაში გაშორებული ქალი „გაფუჭებულია“, მასზე აღარავინ იქორწინებს და საუკეთესო შემთხვევაში მეორე ცოლად მოიყვანს ვინმე. ხოლო თუ ქალს შვილები ჰყავს, ყველაფერი კიდევ უფრო რთულადაა. ჩეჩნები ქალებს ბავშვებს არ ატანენ, გაშორების შემდეგ ისინი მამასთან რჩებიან. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რას ნიშნავს ქალისთვის, დატოვო ორი შვილი და წახვიდე, რათა ნულიდან დაიწყო ცხოვრება. ეს ძალიან რთულია, ამდენად, ქალები ხშირად იძულებულები არიან, ითმინონ ყველაფერი, რაც ოჯახში ემართებათ. აქედან გამომდინარე, იქ ახალი სტრატეგიაა — არ გათხოვდნენ, ანუ ახალგაზრდა გოგოები, რომლებსაც თვალწინ უდგათ დედების მიერ განვლილი ცხოვრება — ძალადობა, კონტროლი, ხედავენ სიტუაციას, რომელშიც ცხოვრობენ უფროსი დები, იღებენ გადაწყვეტილებას, არ დაოჯახდნენ და, შესაბამისად, არც შვილები იყოლიონ. ეს ერთგვარი საზღაურია თავისუფლებისთვის და იმისთვის, რომ თავი აარიდონ მთელს ამ კოშმარს. ჩვენი კვლევისას ეს ბევრმა გამოკითხულმა დააფიქსირა,** — ამბობს კოსტერინა.

კითხვაზე, რომელი პრობლემა დგას ყველაზე მწვავედ — იძულებითი ქორწინების, ძალადობის, ადრეული ქორწინების, დესპოტიზმის თუ „ღირსების მკვლელობების“, ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ყველა ამ კოშმარზე გაუთავებლად შეიძლება საუბარი, თუმცა მთავარი პრობლემა უფრო ღრმაა და სისტემური — ის, რომ ქალები საერთოდ ვერ ხედავენ თავისთვის შესაძლებლობას, იყვნენ თავისუფლები, ბედნიერები, თვითრეალიზებულები და ა.შ.“.

**— როცა ვეკითხებოდით, გრძნობენ თუ არა ისინი თავს ბედნიერად, რა სურთ ცხოვრებაში, შემდეგ მათი პასუხების შემცველი მონაცემების კითხვა ძალიან მძიმე იყო. იქმნებოდა სრული სასოწარკვეთის შეგრძნება, თითქოს მათ საკუთარი სურვილები არც გააჩნიათ. ისინი იძულებით ხდებიან ცოლები, დედები, ასრულებენ რაღაც პროგრამას, რომელიც მიღებულია ამ კულტურაში, მაგრამ საკუთარი სივრცე არ გააჩნიათ. ზოგჯერ სივრცე არც ფიზიკურად გააჩნიათ, თუ, მაგალითად, თხოვდებიან და ცხოვრობენ დედამთილ-მამამთილთან ერთად. როდესაც ცხოვრებაში რაღაც შესაძლებლობებს ხედავ, ოცნებობ, ფიქრობ, იღვწი, აქ კი — დაიბადა, შეასრულა პროგრამა, მოკვდა და მორჩა... ჩემთვის ეს შეგრძნება კვლევისას ძალიან მძიმე იყო,** — ამბობს კოსტერინა.

რაც შეეხება პრობლემების გადაჭრის გზებს, ექსპერტი ყვება, რომ არსებობს მცირე პროექტები, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა ქალები იძენენ ახალ ცხოვრებისეულ უნარებს, სწავლობენ, რომ უფლება აქვთ, გამოხატონ საკუთარი სურვილები და როგორ გააკეთონ ეს სწორად, როგორ ესაუბრონ მშობლებს, ქმარს, როგორ დაარწმუნონ, მაგალითად, დედა, რომ არ სურთ სწავლა იურიდიულზე და სურთ არქიტექტორობა და ეს უკეთესია. არსებობს ასევე პროექტები, რომლის ფარგლებშიც გოგონებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს უმუშავებენ, აძლევენ მცირე სამუშაო სპეციალობას, რათა შეძლონ საკუთარი თავის გამოკვება და თუნდაც ეკონომიკურად იყვნენ დამოუკიდებლები.

http://www.ekhokavkaza.com/content/article/27607399.html

მილოცვა

# შონიათა გვარის ბერმუხა იუბილარია

## ღირსეულად განვლილი 80 წელი!



**გალის რაიონის სამეურნეო-ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, შონიების საგვარეულოს ყველასათვის პატივსაცემ უხუცესსა და საგვარეულო კავშირის საპატიო წინამძღოლს ტარიელ აკაკის ძე შონიას ა. წ. 25 მარტს 80 წელი უსრულდება.**

ვულოცავთ ამ ლამაზ თარიღს ბატონ ტარიელს! — ლამაზს არა მხოლოდ წელთა სიმრავლით, არამედ იმით, რომ მან ცხოვრების ეს გზა თავისი ადამიანურობით, დაუღალავი შრომით, კაცთმოყვარეობითა და სიკეთის ერთგულებით დაამშვენა.

გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში დაბადებული ტარიელი ადრეული ასაკიდანვე ეზიარა გაჭირვებასა და სიმწარეს, რადგან ობლობაში იზრდებოდა თავის უმცროს დასთან — ეთერთან ერთად, დედის — ვენერა ანდრიას ასულ ძაძუას ხელში, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლების მიუხედავად, ღირსეულად შეძლო შვილების აღზრდა.

1954 წელს დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე ქ. ქუთაისში, რომელიც დაამთავრა 1959 წელს ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით. თავდაპირველად მუშაობდა ზემო ბარღების კოლმეურნეობის „გიგანტში“ თავისი სპეციალობით და აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდულ ღონისძიებებში.

1960 წლის ივლისიდან 1968 წლის მაისამდე გალის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარი ინჟინერია. შემდგომ კი — 1977 წლამდე — დირექტორი. 1977-1979 წლებში მუშაობს რაიონის მეცხოველეობის გაერთიანების მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად. 1980 წლის იანვრიდან 1984 წლამდე ხელმძღვანელობდა რეფო-შეშელეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას. ამის შემდეგ, 1987 წლის აპრილამდე, ჭუბურხინჯის ჩაის ფაბრიკის დირექტორია, ხოლო 1990 წლის მაისამდე — გალის რაიონის ნავთობპროდუქტების ბაზის დირექტორი; 1993 წლის 29 სექტემბრამდე გალის რაიონის სამეურნეობათაშორისო დამზადების გაერთიანების თავმჯდომარეა.

როგორც ვხედავთ, რაიონის ხელმძღვანელობა მას მნიშვნელოვან უბნებს ანდობდა და ეს, პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად, განპირობებული იყო ტარიელის უბადლო ორგანიზატორული ნიჭით. ხშირად იგზავნებოდა ისეთ უბნებზე, სადაც იყო ე. წ. „ჩავარდნები“ და საჭირო იყო „სიტუაციის გამოსწორება“.

წელთა სიმრავლის მიუხედავად, ტარიელ შონია ჯანსაღ აქტიურ ცხოვრებას ეწევა, იგი მისაბაძი და სანაქებოა სტუმართმოყვარეობითა და გულუხვობით.

დიდი ტკივილია ჩვენი იუბილარისთვის ორი წლის წინათ გარდაცვლილი მეუღლე — ქალბატონი გიული მიხეილის ასული მესხია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტარიელ შონიას წვლილი შონიების საგვარეულო საზოგადოების დაფუძნებასა და გვარის კონსოლიდაციაში. ჩვენი საგვარეულო კავშირი ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი ისტორიის მქონეა, რომლის დამფუძნებელი ყრილობა 1990 წლის 15 სექტემბერს ჩატარდა გალის სტადიონზე, რომელსაც სამი ათასზე მეტი ამ გვარის წარმომადგენელი ესწრებოდა. ამ ყრილობაზე ტარიელ აკაკის ძე შონია არჩეული იქნა შონიების საგვარეულოს პრეზიდენტად და როგორც პირველი პრეზიდენტი და უხუცესი ბერმუხა, მუდამ იქნება ამ საპატიო წოდების მატარებელი. იგი ამჟამადაც არის საგვარეულოს გამგეობის წევრი და თავისი ცოდნა-გამოცდილებით აქტიურად უდგას მხარში ჩვენი საგვარეულოს ამჟამინდელ გამგებელს ბატონ ოთარ შონიას.

ტარიელის იუბილეს ვულოცავთ მის ლამაზ ოჯახს: ვაჟიშვილს ზაალს, ქალიშვილებს ლელასა და ლანას; შვილიშვილებს ნიკა და გია ნიკვაშვილებს; სანდრო და ნინო პარასკევაშვილებს; ელენე შონიას, რძალს ნინო ტაბიძეს, სიძეებს გია ნიკვაშვილსა და ჯონი პარასკევაშვილს; აგრეთვე ტარიელის ნათესავებს, მეგობრებს, მოგვარეებს, ყველას, ვისაც უხარია ამ ადამიანთან ურთიერთობა და სიახლოვე.

ბატონო ტარიელ, იცოცხლეთ და იხარეთ დიდხანს, გფარავდეთ ღმერთი წუთისოფლის დიდ გზაზე!

**შონიების საგვარეულო კავშირი**

**სამთო თხილამურები**




# სამი „ოქრო“ და „ვერცხლი“ ერზრუმიდან

**ბაკურიანელმა იასონ აბრამაშვილმა წარმატებით იასპარეზა თურქეთის ქალაქ ერზრუმის საერთაშორისო ტურნირებში. 8 ქვეყნის 70-ზე მეტ წარმომადგენელთან ბრძოლაში მან სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

პირველი ტურნირი სლალომში გაიმართა. იასონმა 1.46,75-ით მეორე ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ, მომდევნო სამ ტურნირში ყველას აჯობა: მეორე ტურნირში 1.49,10 წუთით ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. იმავე შეჯიბრებაში გიორგი კურტანიძემ მე-13 ადგილი დაიკავა. მომდევნო ორი პაექრობა გიგანტურ სლალომში აბრამაშვილმა უკონკურენციოდ მოიგო (დრო: 2.26,71 და 2.26,04). გიორგი კურტანიძე, შესაბამისად, მე-19 (2.37,88) და მე-15 (2.35,70) ადგილებზე გავიდა.

**გივი გაგუა**

**სურათზე:** იასონ აბრამაშვილი.

**ჩოგბურთი**

# განახლებული რეიტინგებით

**უკვე გაუწყეთ, რომ წინა კვირას ორმა ჩვენებურმა ჩოგბურთელმა წარმატებით იასპარეზა საერთაშორისო ტურნირებში. ოქსანა კალაშნიკოვამ ინდიანა პოლისში 390 ქულა დაიმსახურა და განახლებულ რეიტინგში 63-ედან 44-ე საფეხურზე აღზევდა, რაც მისთვის სარეკორდოა (აქამდე საუკეთესოდ ითვლებოდა 2013 წლის 52-ე ადგილი), ხოლო ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჩინეთში 50.000-იანი ტურნირის მოგებით 10 საფეხურით წინ წაიწია და საუკეთესო ასეულს ისევ მიუახლოვდა.**




**ვაჟები**

**ერთეულები.** 107 (117). ნიკოლოზ ბასილაშვილი (548), 282 (287). ალექსანდრე მეტრეველი (174), 848 (858). გიორგი ცივაძე (22), 1104 (1103). გიორგი ჯავახიშვილი (9), 1438 (1440). ალექსანდრე ბაქში (3), 2084 (2090). ირაკლი მეტრეველი (1).

**ქალები**

**ერთეულები.** 228 (228). სოფიო შაფათავა (216), 327 (331). ეკატერინე გორგოძე (121), 427 (425). სოფიო ქვაცაბაია (78), 470 (469). მარიამ ბოლქვაძე (63), 666 (662). ოქსანა კალაშნიკოვა (30), 777 (776). თინათინ ყავლაშვილი (20), 1097 (1100). თამარ ჭალაგანიძე (7), 1211 (1214). ანა შანიძე (4).

**წყვილები.** 44 (63). კალაშნიკოვა (1590), 140 (140). შაფათავა (492), 187 (191). გორგოძე (355). 379 (376). ქვაცაბაია (136), 702 (701). ბოლქვაძე (40), 767 (774). ყავლაშვილი ნ(30), 1065 (1075). ანა ახალკაცი (12), 1088 (1100). შანიძე (11), 1169 (1174). ჭალაგანიძე (9).

**ლაშა დიდია**

**ტრაგედია**

# ბელგიის ნაკრებმა ტერაქტების გამო ვარჯიში შეწყვიტა

**ბრიუსელში გუშინ დილით განხორციელებული ტერაქტების სერიის გამო ბელგიის ეროვნულმა ნაკრებმა ვარჯიში შეწყვიტა.**

„დღეს ფეხბურთს მნიშვნელობა აღარ აქვს — ვარჯიში გაუქმებულია. ჩვენი ფიქრები მხოლოდ ტერაქტების მსხვერპლთ უკავშირდება“, — ნათქვამია ბელგიის ნაკრების „ტვიტერის“ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ბელგიის ნაკრები 29 მარტს ბრიუსელში პორტუგალიის ნაკრებთან დაგეგმილი ამხანაგური მატჩისთვის ემზადებოდა, თუმცა, დიდი შანსია, ეს შეხვედრა საერთოდ აღარ გაიმართოს.



ტერორისტული თავდასხმები გუშინ ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროში განხორციელდა. უკანასკნელი მონაცემებით, აფეთქებების შედეგად 23 ადამიანია დაღუპული და ქალაქში ტერორისტული საფრთხის უმაღლესი დონეა გამოცხადებული.

**გიორგი შოთაძე**

**ხელბურთი**

# ქართველთა სამივე კლუბი პლეიოფშია



**რუმინეთის სახელბურთო ჩემპიონატზე, რეგულარული სეზონის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, პლეიოფში გასვლა გაინაღდა ქართველი ხელბურთელების სამივე კლუბმა. ბოლოს ეს გააკეთა ეროვნული ნაკრების მეკარის, შოთა თევზაძის „რეშიცამ“, ვინც ბოლოსწინა ტურში 27:26 მოუგო „პლოეშტს“.**

„რეშიცამ“ 39 ქულა დააგროვა, მეოთხედფინალის საგზური დაიბევა და ორწრიან ტურნირს ნებისმიერ შემთხვევაში მე-7 ადგილზე დაასრულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხედფინალში შეხვდება ერთ-ერთ გრანდს, ან ბუქარესტის „დინამოს“ ან „CSM ბუქარესტს“. ქართველი მეკარის კლუბს ბოლო მატჩი 27 მარტს აქვს შარშანდელ ჩემპიონ „ბაია მარესთან“, რომელიც მე-9 ადგილზეა და პლეიოფს მიღმა დარჩენა ემუქრება.

მესამე ადგილზეა ვლადიმერ რუსიას „ოდორჰეი შეკუიეცი“. 25-ე ტურში „ოდორჰეიმ“ შინ ფრედ, 27:27 ითამაშა უახლოეს მდევარ „სტიაუასთან“ და სწორედ ამ ქულით გაინაღდა მესამე პოზიციაზე დარჩენა. ვლადიმერ რუსიამ, რომელმაც სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა, ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 6 გოლით. მასზე შედეგიანი მხოლოდ ანდრეი მიხალჩა იყო — 8 (4 — შვიდმეტრიანით), ხოლო სეზონში კლუბის საუკეთესო მეგოლეა სერბი მიტარ მარკეზი — 154 გოლი. რუსიას 15 მატჩში 56 ბურთი აქვს გატანილი.

არაა გამორიცხული, მეოთხედფინალში „ოდორჰეის“ მეტოქე გახდეს ირაკლი ჩიქოვანის კლუბი, „პოლიტექნიკა ტიმიშოარა“. ეს გუნდი 25-ე ტურში, ზედიზედ 7 მოგების შემდეგ დამარცხდა ბუქარესტის „დინამოსთან“ 28:32, ხოლო ჩიქოვანმა ხუთჯერ გაიტანა და სეზონში 139 გოლი დაუგროვდა. „პოლიტექნიკა“ ახლა 47 ქულით მეხუთე ადგილზეა. ბოლო ტურში ქართული დერბია, „ტიმიშოარა“ — „ოდორჰეი“ და თუ სტუმრებმა მოიგეს, არაა გამორიცხული, ჩიქოვანის გუნდი მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდეს და სწორედ რუსიას კლუბს დაუწყვილდეს მეოთხედფინალში, თუმცა, ისიც შეიძლება, რომ „პოლიმ“ მეოთხე ადგილი ჩამოართვას „სტიაუას“, მასვე შეხვდეს პლეიოფის პირველ წრეში და გადამწყვეტი მატჩში შინ თამაშის უპირატესობაც მოიპოვოს.

* * *

**მაკედონიაში რეგულარული სეზონის დასრულებამდე 2 ტურია დარჩენილი. მე-16 ტურში რევაზ ჭანტურიას „პელისტერმა“ შინ 33:25 დაამარცხა „რადოვიში“ და ათგუნდიან ტურნირში მე-9 ადგილიდან მეექვსეზე გადავიდა 18 ქულით.** აქ რეგულარულის შემდეგ ტურნირი ორად იყოფა — საუკეთესო ოთხეულს დაემატებიან სკოპიეს „ვარდარი“, ჭანტურიას ყოფილი კლუბი „სტრუმიცა“ და ეს ექვსეული ორ წრედ ჩემპიონობისთვის ითამაშებს. დანარჩენი 6 გუნდი ბრძოლას გააგრძელებს პლეიაუტში, ანუ ლიგაში დასარჩენად.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ლეგენდა**

# ბუფონი: ზურგი გაქციე, მტრებისგან გიცავ და როცა გღალატობ, ტკივილს ვგრძნობ

**ტურინის „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების ლეგენდარულმა მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა სოციალურ ქსელში თავის ოფიციალურ გვერდზე წერილი გამოაქვეყნა, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, კარს მიუძღვნა. აი, რას წერს 38 წლის კიპერი:**




„12 წლის ვიყავი, როდესაც შენგან ზურგით დავდექი და ყველაფერი დავივიწყე, შენს უსაფრთხო მომავალზე რომ მეზრუნა. გულისა და ინსტინქტის არჩევანი სწორედ იმ დღიდან შემიყვარდი, შენს უსაფრთხოებაზე ფიქრი დავიწყე და შენივე დაცვის პირველი და უკანასკნელი ინსტრუმენტი გავხდი.

საკუთარ თავს დავპირდი, ყველაფერს გავაკეთებ, რომ არ შემოგხედო და როცა ეს ხდება, დამწუხრებული ვარ, ტკივილს განვიცდი. ტკივილს იმის გამო, რომ დაგაღალატე. და მაინც, ჩვენ ყოველთვის ვიყავით განსხვავებულები, როგორც მზე და მთვარე, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ.

25 წელზე მეტია, რაც ჩემი არჩევანი გავაკეთე, შენი ფარი გავხდი, რომელიც მტრებისგან გიცავს.

12 წლის ვიყავი, როდესაც ზურგი გაქციე და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ჩემი ფეხები, თავი და გული საშუალებას მომცემს“, — წერს ბუფონი.

ჯიჯიმ აღნიშნული წერილი მას შემდგომ გამოაქვეყნა, რაც იტალიის ჩემპიონატში სებასტიანო როსის მშრალი სერია დაამხო. ეს ბუფონმა „ტორინოსთან“ მატჩში გააკეთა, მისი რეკორდი კი ზედიზედ 973 წუთის განმავლობაში მშრალად შენახული კარია.

**კობა კობახიძე**

**ინტერნეტიდან**

# მატარებელში, ერთ ქარიან ღამეს...

**იმ ქარიან ღამეს ბრატისლავადან გამოსული მატარებელი უკვე ავსტრიაში იყო და ჯიქურ მიიწევდა ზალცბურგისაკენ. მატარებლის მგზავრების უმეტესობას ტკბილად ეძინა. არ ეძინა მხოლოდ რამდენიმე მგზავრს და მათ შორის ორიოდე დღით სამშობლოში ჩასულ „ნაპოლის“ ლიდერ მარეკ ჰამშიკს, რომელსაც მწყაზარი სექსის შემდეგ ვაგონის ფანჯარა გამოეღო და ოფლით დანამულ შუბლს ნიავს უშვერდა.**

ბევრი რამ უნახავს მარეკს სტადიონზეც და მის გარეთაც, მაგრამ არასოდეს უნახავს თანამემამულე მოდელ ადრიანა სერნანოვას მსგავსი ასული და აკი თოკზე მიბმული ფინიასავით მიჰყვებოდა ავსტრიაში დანიშნულ მოდელების ჩვენებაზე. მიჰყვებოდა და მთელი გზა არ ისვენებდა. ანდა რა მოასვენებდა, როდესაც სერნანოვას ქალი მზად იყო, ნებისმიერ დროს დანებებოდა, ვითარცა კიკუ და კაპიტულაცია გამოეცხადებინა, ვითარცა დაცემული იმპერიის დედოფალს.

მარეკ ჰამშიკს ეს სლოვაკურ-ავსტრიული განავარდება საკმაოდ ძვირი დაუჯდა და დიდ სკანდალსაც გამოჰკრა ხელი, მაგრამ კაცი ყველაფერს აიტანს, როდესაც სასწორის მეორე პინაზე ადრიანასთანა ქალი ზის. ზის რა — წევს, წამოწოლილა, მიწოლილა და გადაწოლილა. დანარჩენს თქვენც კარგად მიხვდებით...



**როსტომ რაჭველიშვილი**

სანთელი

# მიშა ოსაძის ნათელ ხსოვნას



23 მარტი შენი დაბადების დღეა, გენერალო! ლაღი, თბილი, გულითადი, ერთგული იყავი და ასეთად დარჩები იმ უამრავი ადამიანის გულში, ვისთვისაც დღემდე დაუვიწყარია შენგან გაწეული სიკეთე. უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ღირსეული მუშაკი უსპეტაკესად რომ დარჩები შენი უმწიკვლო ცხოვრების წესით, ესეც კმარა იმისთვის, რომ შთამომავლობამ იამაყოს.

რამდენი იღვაწე და გამორჩეული პარლამენტარის სახელი დაიგდე საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სადაც წლების განმავლობაში კანონიერებისა და წესრიგის დაცვის საპარლამენტო კომისიას ხელმძღვანელობდი.

შენს კიდევ ერთ დაბადების დღეს ვხვდებით უშენოდ შენი მეგობრები. გვეამაყება, რომ კაცურად იცხოვრე და სანამ უფალი ინებებს, ყოველთვის გაგიხსენებთ.

შენს საფლავზე ამოსული საძმოს შენი უერთგულესი მეუღლე მანანა გაგვიწევს მასპინძლობას და კიდევ ერთხელ დანამავს ალალი ცრემლით შენს საფლავს.

**თენგიზ ქავთარაძე, ვახტანგ კიკნაძე, ვიტალი ხაზარაძე, ელიზბარ ლომინაძე, დემურ გადელია, თენგიზ კალანდაძე, დავით ზეიკიძე, გივი ყურაშვილი, გურამ გუნავა, პეტრე ბერაია.**

## პროკურატურამ საგარეჯოს არჩევნების საქმეზე ძიება შეწყვიტა



**საგარეჯოში ჩატარებული შუალედური არჩევნების საქმეზე თავდაცვის მინისტრის დაკითხვის აუცილებლობა არ არსებობდა, — ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.**

„საგარეჯოს არჩევნების საქმეზე ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება ტარდება. ვისი დაკითხვის აუცილებლობაც არსებობდა, დაიკითხა. შესაბამისად, ვინაიდან არ გამოვლინდა რაიმე სახის დანაშაულის ნიშნები, საქმეზე გამოძიება შეწყდა. თავდაცვის მინისტრი არ დაკითხულა, რადგან ამის საჭიროება არ არსებობდა“, — განაცხადა შოთაძემ.

## ირმა ინაშვილი ხიდაშელს ციხით ემუქრება

**„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი საგარეჯოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გამოძიების შეწყვეტას გამოეხმაურა.**



ინაშვილი, რომელიც საგარეჯოში მაჟორიტარად იყრიდა კენჭს, არჩევნებში თავისი დამარცხების მიზეზად კვლავ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს უკავშირებს და მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

„ეს ფაქტი, კიდევ ერთხელ მიმანიშნებს, რომ არჩევნების გამყალბებელი თავდაცვის მინისტრი კვლავ ინარჩუნებს თავის სავარძელს. ჯერჯერობით ინარჩუნებს. თავდაცვის მინისტრი აღმოჩნდება ციხეში. მან არჩევნები გააყალბა, ჯარი გამოიყენა საარჩევნო პროცესში. ეს იყო სისხლის სამართლის დანაშაული. ამას ვერ გაექცევა ვერც ერთი გამომძიებელი“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

## ფარული ჩანაწერების გავრცელების საქმის ძიებაში სიახლეებია

**ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ განაცხადა, თუმცა, მისივე თქმით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მათზე ჯერჯერობით ვერ ისაუბრებს.**

„სხვა ქვეყნები ჩართულები არიან, რადგან ვიდეოფაილების უცხოურ ინტერნეტგვერდებზე აიტვირთა. შესაბამისად, მათი ჩართულობის გარეშე საგამოძიებო მოქმედებებს ვერ ჩავატარებდით. არაერთი სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობაა გაგზავნილი სხვა ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებში და, რა თქმა უნდა, მათი დახმარების დიდი იმედი გვაქვს“, — განაცხადა შოთაძემ, თუმცა, რომელი ქვეყნის ორგანოების მიმართა პროკურატურამ, არ დაუკონკრეტებია.

## აჭარის ტელევიზიამ მუქარის შემცველი წერილი მიიღო

**საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს facebook გვერდზე მუქარის წერილი მივიდა.**

არხის ვებგვერდის რედაქტორის ანა თალაკვაძის ინფორმაციით, წერილის ავტორი იმუქრება, რომ მარტის ბოლომდე სხვადასხვა პირის პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოკადრებს გაავრცელებს.

შეტყობინების ავტორის facebook-გვერდი ამჟამად გაუქმებულია. მუქარის შემცველი წერილის შესახებ მაუწყებელმა უკვე აცნობა სამართალდამცავ უწყებებს. ანა თალაკვაძე უკვე დაკითხეს.

„ფეისბუქ-გვერდის ოფიციალურ გვერდზე შეტყობინება მოსული იყო შუადღის საათებში, მაგრამ სამწუხაროდ, მოგვიანებით ვნახე და როდესაც ვნახე, ფეისბუქ-გვერდი პიროვნებას, რომელმაც წერილი გამოაგზავნა, გაუქმებული ჰქონდა. უკვე იდენტიფიცირება ამ პიროვნების შეუძლებელია, მაგრამ წერილი, რომელიც მოიწერა და სადაც მუქარის შემცველი ფრაზებია, ფოტოს სახით, არსებობს“, — აცხადებს ანა თალაკვაძე.

## ელისაშვილის წინააღმდეგ საქმე არ აღიძვრება

**მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის განცხადებით, აღარ არსებობს შანსი, რომ დაიწყოს გამოძიება უშუალოდ ალეკო ელისაშვილის წინააღმდეგ, რომელსაც დეპუტატები ეკა ბესელია და მანანა კობახიძე ცილისწამებაში ადანაშაულებენ.**

როგორც შოთაძემ ჟურნალისტებს ე.წ. შეწყალების კომისიის საქმეზე გამოძიების შეწყვეტასთან დაკავშირებით განუცხადა, საფუძველი რომ ყოფილიყო, ელისაშვილის წინააღმდეგ გამოძიება უკვე დაიწყებოდა.

„თავის დროზე მოვუწოდე განმცხადებელ ელისაშვილს, რომ ეთანამშრომლა გამოძიებასთან და დაესახელებინა ის პირი, რომელსაც, მისი განცხადებით, ჰქონდა ინფორმაცია შესაძლო კორუფციული დანაშაულის ჩადენის შესახებ. თუმცა მან ეს არ გააკეთა. შესაბამისად, ჩვენ თავშივე ვიყავით მოკლებული შესაძლებლობას, რომ ამ საქმეზე რაიმე რეალური შედეგი გვქონოდა“, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

რაც შეეხება საკითხს, შესაძლებელია თუ არა თავად შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ალეკო ელისაშვილის წინააღმდეგ დაიწყოს გამოძიება ცრუ დასმენის ბრალდებით, შოთაძემ აღნიშნა, რომ ამის საფუძველი რომ ყოფილიყო, მის წინააღმდეგ გამოძიება უკვე დაწყებული იქნებოდა.

## გამწვანების აქცია საბურთალოში

**საბურთალოს რაიონში გამწვანების აქცია გაიმართა. თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ და საბურთალოს რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ნუცუბიძის №14ბ-ს მიმდებარედ ახლადმოწყობილ სკვერში კიპარისის ნერგები დარგეს.**

ახლადგაშენებულ უბანში რამდენიმე მრავალბინიანი კორპუსის მცხოვრებლებმა სკვერისა და სათამაშო მოედნების მოწყობის თხოვნით თბილისის მერს დავით ნარმანიას გასულ წელს მიმართეს, თუმცა აღნიშნული მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. მერიასა და მესაკუთრეს შორის კონსტრუქციული მოლაპარაკებების შედეგად, მიწის ნაკვეთი ადგილმონაცვლეობის პრინციპით, თვითმმართველის საკუთრებაში გადავიდა.

საბურთალოს რაიონის გამგეობამ საპროექტო სამუშაოები პროცედურების დასრულებისთანავე დაიწყო და რამდენიმე კვირაში დაასრულა. სკვერში კეთილმოეწყო საფეხმავლო ბილიკები, დაიდგა საპარკე სკამები, სათამაშო და სპორტული ინვენტარი. დღეს კი სკვერში 20 ერთეული წიწვოვანი ნერგი დაირგო.



მოგონება

# დოდო უჩანეიშვილი



„სიცოცხლე ღვთისაგან ბოძებული ყველაზე დიდი მადლია და იგი მის დაუშრეტელ წყაროს — ქალს უკავშირდება. ქალის ცხოვრებაში დედობის განცდა კი მშობიარობასთან არის დაკავშირებული. არ არსებობს ამქვეყნად ახალი სიცოცხლის მოვლენით გამოწვეული სიხარულზე უფრო მომეტებული გრძნობა“. ეს სიტყვები ქართველ მეან-გინეკოლოგთა სახელგანთქმული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს **დოდო უჩანეიშვილს** ეკუთვნის. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მოღვაწეობის მანძილზე მან 30000-ზე მეტი ქალი ამშობიარა და ამდენივე ახალშობილი შეუნარჩუნა ქვეყანას.

ქალბატონ დოდოს ათეული წლები უმშვენებდა გვერდს სახელოვანი კოლხი მამულიშვილი, ისტორიკოსი და ახალგაზრდობის მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი ნოე ჭანტურია. მათი ოჯახი სამაგალითო იყო ქალაქ სენაკში, სადაც სათუთად ინახავენ ამ ადამიანების მიერ ხალხის საკეთილდღეოდ გაწეულ ნაღვაწს. გარდაცვალებიდან წლებმა განვლო, მაგრამ მათი ხსოვნა დავიწყებას არ მისცემია. ჩვენ კი, შვილებსა და შვილიშვილებს, სულ უფრო გვენატრებით და მადლიერების გრძნობით გიგონებთ ჩვენზე გაწეული ზრუნვისა და სიკეთისთვის.

**მარინე და თამაზ ჭანტურიები ოჯახებით.**

ხსოვნა

# „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“



ჩვენ მართლაც „ლამაზი, თვალჟუჟუნა მეგობარი“ გვყავდა, რომელსაც, როგორც ყველაზე გამორჩეულს „ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები“. მაგრამ მან არ მიგვატოვა, რადგან ნინო ნაცვლიშვილს ღალატი არ შეეძლო. მას ხომ ყოველთვის ეცალა მეგობრებისთვის, ეცალა ჩვენი ლხინის, გასაჭირის გაზიარებისთვის, ჩვენი დამშვიდებისა და მოფერებისთვის. ნინოს ის სიცოცხლე მოჰქონდა, რომელიც სიბნელიდან სინათლისკენ, სიკეთისკენ შემოგვატრიალებდა. ჩვენც შეჩვეულნი ვიყავით ამ უსაზღვრო სითბოს, ვფიქრობდით: „ამას ნინოს მოვუყვები, ის გაიგებს, გაიზიარებს“. ისიც ულევად გასცემდა სიყვარულს, რომელიც დღეს ყველაზე მეტად სჭირდება მის ოჯახს, მეგობრებს.

სამწუხაროდ, ჩვენ ცხოვრებაში ვერ მოვასწარით მის მიერ ჩვენთვის გაცემული სითბოს, სიკეთის დაბრუნება და ახლა მხოლოდ ლოცვით შეგვიძლია მისი შეწევნა.

**მეგობრები**

ინფორმაცია

## ინტერპოლით ძებნილი „მასტერა“ თბილისში ჩამოიყვანეს




**ინტერპოლის მიერ ძებნილი გიორგი დგებუაძის საქართველოში ექსტრადირებასთან დაკავშირებით პროკურატურა განცხადებასავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

**„საქართველოს პროკურატურის მოთხოვნით, განზრახ მკვლელობისთვის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ბრალდებული გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, ნიდერლანდების სამეფოდან ექსტრადირებულ იქნა საქართველოში.**

**გიორგი დგებუაძის მიმართ, რომელიც თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოებს და დატოვებული ჰქონდა ქვეყნის ფარგლები, ინტერპოლის წითელი ცირკულარით გამოცხადებული იყო საერთაშორისო ძებნა. ბრალდებულის ადგილსამყოფელის დადგენის შემდეგ, საქართველოს პროკურატურამ, მისი დაკავებისა და ექსტრადირების მოთხოვნით, მიმართა ნიდერლანდების კომპეტენტურ ორგანოებს და ძებნილი ბრალდებულის საქართველოში ექსტრადირების საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა მათთან.**

**პროკურატურის მოთხოვნის შედეგად, ნიდერლანდების სასამართლომ დასაშვებად სცნო გიორგი დგებუაძის საქართველოში ექსტრადიცია. აღნიშნულის საფუძველზე ბრალდებული ექსტრადირებულ იქნა საქართველოში და ამჟერად საქმის სასამართლოში განხილვა გაგრძელდება მისი მონაწილეობით.**

**საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2005 წლიდან გიორგი დგებუაძე იკავებდა შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეორე სამმართველოს უფროსის თანამდებობას, ხოლო მოგვიანებით თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩანა ახალაიას ბრძანებით დაინიშნა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსად.**

**გიორგი დგებუაძეს ბრალად ედება 2006 წლის 12 იანვარს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსთან დავით ახალაიასთან და ამავე დეპარტამენტის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, „ნავთლუღის“ ავტოსადგურში სამი ახალგაზრდის, შოთა გორგაძის, მარად ართმელაძისა და რომან სურმანიძის წინასწარ დაგეგმილ მკვლელობაში მონაწილეობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. ამ დანაშაულში ჩართული სხვა თანამონაწილეების მიმართ უკვე დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი“.**

**საჩუქრად ზოოპარკს**

# ახალი ბინადარნი



**მდინარე ვერეს შარშანდელი 13 ივნისის წყალდიდობამ დედაქალაქს, მის მოსახლეობას უდიდესი ზარალი რომ მიაყენა და დიდძალი მსხვერპლის მიზეზიც გახდა, საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ის, რომ ლამის ერთიანად დაინგრა ზოოპარკი და უამრავი ცხოველიც დაიხოცა.**

ზოოპარკის ცხოველთა ფონდის შევსების პირველი ეტაპი ამ დღეებში განხორციელდა – რიგის ზოოპარკმა თუთიყუშები, ალაპაკები, აქლემი და აზავერი გამოგზავნა, რომლებსაც სპეციალისტები და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები ბათუმში დახვდნენ.

– უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ლატვიელ კოლეგებს გულისხმიერებისა და უანგარო დახმარებისთვის, – თქვა ჩვენთან საუბრისას თბილისის ზოოპარკის დირექტორმა **ზურაბ გურიელიძემ**. – უახლოეს მომავალში დახმარებას ასევე ველით გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, თურქეთისა და რამდენიმე სხვა ქვეყნის ზოოპარკებისგან. მაისში თბილისში ჩამოვიყვანთ პინგვინებს, მაიმუნებს, სხვადასხვა ჯიშის ანტილოპებს, კენგურუებს, სხვა ცხოველებს, რომლებისთვისაც ამჟამად ახალ ვოლიერებს ვამზადებთ.

**დალი ხუნდაძე**





**ელგუჯა ნადარეიშვილის** ფოტო.

**რეკლამა**
**293-37-87**
**მაჩაბლის ქ. №7.**

**არდავიწყება**

# „შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ“...

## ქელეხების შეკვეთები საბანკეტო დარბაზებისა და რესტორნებისთვის მომგებიან ბიზნესად რჩება

**საბანკეტო დარბაზებისთვის ქელეხების შეკვეთა საკმაოდ მომგებიან ბიზნესად რჩება. იმის მიუხედავად, რომ საზოგადოებაში ბევრს საუბრობენ ხალხმრავალი ქელეხის „ინსტიტუტის“ სიმახინჯეზე, როგორც გაირკვა, ამ ტრადიციაზე უარს საქართველოში არავინ ამბობს.**

„კომერსანტმა“ საბანკეტო დარბაზებისა და რესტორნების გამოკითხვით დაადგინა, რომ ქელეხის სუფრა საშუალოდ 100-კაციანია. თბილისში ამ სერვისის ფასები კაცზე 15-20 ლარიდან იწყება.

თემქაზე მდებარე საბანკეტო დარბაზ „კრისტალში“ აცხადებენ, რომ საქართველოში ქელეხს მაინც ხშირად იხდიან. ამიტომ ამ მიმართულებით მოთხოვნა არ შემცირებულა.

წერეთლის გამზირზე მდებარე საბანკეტო დარბაზის ხელმძღვანელის ავთანდილ გუგეშაშვილის ინფორმაციით, ქელეხების გადახდაზე ისევ ისეთი მოთხოვნაა, როგორც წინა წლებში იყო და ამ ტრადიციის შეცვლის არანაირი საფუძველი და ნიშნები არ არსებობს.

ქელეხის შეკვეთების შემცირებაზე საუბრობს ზესტაფონის ქუჩაზე არსებული საბანკეტო დარბაზის ხელმძღვანელი ამირან აროშიძე. მისი მტკიცებით, ბოლო პერიოდში დაკვეთები საგრძნობლად შემცირდა. ამის მიზეზად კი ის ქვეყანაში გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს.

მისივე ინფორმაციით, ამ სფეროში ძალიან დიდი კონკურენციაა და თბილისში უკვე უამრავი საბანკეტო დარბაზი და რესტორანია გახსნილი.

ქელეხის ტრადიციის აქტუალობაზე საუბრობენ სარიტუალო კომპანია ს.მ სერვისშიც. მათი განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ ცხოვრება გაძვირდა, ამ ტრადიციას მაინც არავინ „ღალატობს“. „დღეს ქელეხი ისეთივე აქტუალურია, როგორც გასულ წლებში. თუმცა, ხვალ რა იქნება, არ ვიცით“, – აცხადებენ კომპანიაში.

**სოფო ქსოვრელი**



**ინფორმაცია**

## აჭარა კატოვიცეს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზეა

**რეგიონის ტურისტული პოტენციალი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე „Katowice International Fair - GLOB 2016“ წარადგინა. გამოფენაზე დეპარტამენტის წარმომადგენელი სილეზიის სავოევოდოს სპეციალური მოწვევით 18-20 მარტს იმყოფებოდა. პოლონეთის სილეზიის სავოევოდოსთან დამეგობრებულ რეგიონებთან ერთად აჭარის სტენდზე ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ აჭარა-ბათუმის ტურისტული პოტენციალის ამსახველ სარეკლამო-საინფორმაციო მასალებს გასცნობოდნენ და დეტალური ინფორმაცია მიეღოთ რეგიონის ტურისტული პროდუქტების შესახებ. დეპარტამენტი პოლონეთის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მეოთხე წელია მონაწილეობს.**

**პოლონეთი აჭარის რეგიონისთვის ერთ-ერთი პირველი და მსხვილი ტურისტული ბაზარია ევროპაში, საიდანაც ტურისტული ნაკადი აჭარაში ყოველწლიურად იზრდება. 2013 წლიდან დღემდე რეგიონს 40 000-მდე პოლონელი ტურისტი სტუმრობდა.**

**ცინცხალი ანეკდოტები**

**– ჩემო კარგო, – ეუბნება გრაფი მზარეულს, – ხვალ ჩემი სიდედრი ჩამოდის.**
**– მესმის სერ.**
**– აი, მისი საყვარელი კერძების ჩამონათვალი.**
**– დიახ, სერ.**
**– თუ მათგან ერთს მაინც დაამზადებ, იცოდეთ, უმალ დაკარგავთ სამსახურს...**

* * *

**გუშინ ბაღში სიდედრის ფოტო ჩამოვკიდე.**
**– მერე?**
**– ყვავებმა შარშანდელი მოსავალიც დამიბრუნეს.**

* * *

**– ვინ არის ეს საფრთხობელა?**
**– ჩემი გოგოა!**
**– ლამაზია...**

* * *

**– როგორღა შეიძლება გქონდეს სექსი, თუ მე არ მინდა?**
**– მე სექსი მაშინაც შეიძლება მქონდეს, როცა შენ იგი არ გინდა კი არა, რომც არ იყო.**

* * *

**გავიცანი ერთი ლამაზი გოგო. მაგრამ მისი მშობლები ჩვენი ბედნიერების წინააღმდეგი არიან. მათ სურთ, რომ ჩვენ ვიქორწინოთ.**

* * *

**– ძვირფასო, ორი ახალი ამბავი მაქვს, – ეუბნება ცოლი ქმარს, – კარგი და ცუდი. რომლით დავიწყო?**
**– ცუდით.**
**– შენი მანქანით ბოძს დავეჯახე.**
**– კარგი რა არის?**
**– სხვა დროს ასე არ ვიზამ.**

* * *

**ქალი არასოდეს არ უღალატებს საყვარელ მამაკაცს, თუ მთვრალი არ არის, ან ძალიან ლამაზ მამაკაცს არ გადაეყრება, ან სექსი დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონია, სხვა მხრივ – არასოდეს...**

* * *

**ცოლი ტელევიზორის ყურებისას რაღაცას ბუზღუნებს და მერე ქმარს ეუბნება:**
**– წარმოგიდგენია, მგონი, ტელევიზორთან დავიწყე ლაპარაკი!**
**– ნახე, ამ სულელმა მგონი, მთლად გარეკა, უკვე ტელევიზორს ესაუბრება, – ეუბნება ქმარი კომპიუტერს.**



**გამოიწერეთ:**
**6 თვით – 60 ლარი,**
**1 წლით – 120 ლარი.**
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“!